ეწვიეთ ვებ-ბვეიღს და იპოთხეთ ახალი ამბები

25 იანვარი, 2016 N9

# OBSERVER
OBSERVE TO LEAD

ყოველკვირეული ოთხენოვანი
ბაზეთი საქართველოში

WEEKLY BILINGUAL
NEWSPAPER IN GEORGIA

## შენგენის ზონის ქვეყნები შიდა სასაზღვრო კონტროლს ამკაცრებენ

გვ. 2

ავსტრიის კანცლერის ვერნერ ფაიმანის განცხადებით, მიგრაციული ნაკადების ზრდა შენგენის ზონის არსებობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის, მისი გადარჩენა კი მხოლოდ შიდა საზღვრების დაცვითაა შესაძლებელი. „თუკი ევროკავშირი თავის გარე საზღვრების დაცვას სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს, მთლიანად შენგენის ზონის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, რის შემდეგაც თითოეულ ქვეყანას თავად მოუწევს საკუთარი საზღვრების დაცვა“, - განაცხადა ვერნერ ფაიმანმა გაზეთ *Osterreich*-თან ინტერვიუში და დასძინა, რომ თუკი ორგანიზაციის საზღვრები დაცული არ იქნება, ევროკავშირის არსებობა ეჭვის ქვეშ დადგება.

## ხელსაყრელი ბიზნეს გარემო - საქართველოს მთავარი გზავნილი დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე

გვ. 6

გიორგი კვირიკაშვილმა შეხვედრა გამართა „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ (EBRD) –ის პრეზიდენტ სუმა ჩაკრაბატისთან, რომლის განცხადებით, ბანკის ფინანსური დახმარების მოცულობა და ინვესტიციები 2016 წელს კიდევ უფრო გაიზრდება. გარდა ამისა განხილული იყო საქართველოში კერძო სექტორის სტიმულირებისა და ბიზნესგარემოს განვითარების პერსპექტივები. შეხვედრა შედგა „ევროპის საინვესტიციო ბანკის“ (EIB) პრეზიდენტთანაც, სადაც პრემიერმა ისაუბრა ბანკის მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურების მიმდინარეობასა და სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ, რომელიც ქართულ მცირე და საშუალო ბიზნესს წაახალისებს.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია: საქართველო ჩრდილოეთ ბაჰე შოტებისგან
EXCLUSIVE გვ. 7

ევროკავშირის ელჩმა იანოშ ჰერმანმა ქართველი ჟურნალისტები დააჯილდოვა
გვ. 8

საქართველოში სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტია დაარსდა
გვ. 8

"სუხიშვილებმა" 70 ნლისთავი საქველმოქმედო გალა კონცერტით აღნიშნეს
გვ. 11

ნარმოდგენა ბრიმისა და დეპორტაციის გარეშე – მარჯანიშვილის თეატრი მონო-სპექტაკლებს მასპინძლობს
EXCLUSIVE გვ. 12

შპს «აი-თი-ჯი» - მეტეხის ქ. 16, 0103, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995) 599 555 634; საიტი: WWW.ITG.GE

# შენგენის ზონის ქვეყნები შიდა სასაზღვრო კონტროლს ამკაცრებენ

ეკა ფხოველიშვილი (პოლონეთი)

შენგენის შეთანხმება სერიოზული საფრთხის ქვეშ დადგა, მას შემდეგ, რაც მიგრანტების რიცხვმა მილიონს გადააჭარბა. მოსახლეობა კონფლიქტური ზონებიდან (სირია, ავღანეთი), შეიარაღებულ დაპირისპირებასა და სიღარიბეს გაურბის, რის შემდეგაც თავს ევროპულ სახელმწიფოებს აფარებენ. როგორც ჩანს, ევროპის საიმიგრაციო პოლიტიკამ გამოცდას ვერ გაუძლო, ერთმანეთის მიყოლებით ექვსმა სახელმწიფომ სასაზღვრო კონტროლი გაამკაცრა.

შვედეთი და დანია 50 წლის მანძილზე პირველად ქვეყნებში შესასვლელად პირადობის დამადასტურებელ მოწმობებს ითხოვენ. შვედეთის სახელმწიფო განმარტავს, რომ მათ მიგრანტებს კარი გაუღეს, თუმცა ღია საზღვრების მეშვეობით მოსალოდნელი 100 000 მიგრანტის ნაცვლად შვედეთში 160 000 მიგრანტი ითხოვს თავშესაფარს. სკანდინავიის ქვეყნებს მიბაძეს უნგრეთმა და სლოვენიამ და სასაზღვრო კონტროლი მათაც გაამკაცრეს.

გასულ კვირას შენგენის შეთანხმების დროებითი შეჩერების გადაწყვეტილება ავსტრიის სახელმწიფომაც მიიღო, რასაც წინ უძღოდა მიგრანტების მიმართ ღია პოლიტიკის გამტარებელი გერმანიის გადაწყვეტილება ასევე სასაზღვრო კონტროლის გამკაცრების თაობაზე. ევროპაში მიგრაციის აღნიშნულმა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უპრეცედენტო, ტალღამ მძიმე პრობლემების წინაშე დააყენა ევროკავშირი. საზღვარზე კონტროლის გარეშე გადაადგილების პოლიტიკამ აზრთა სხვადასხვაობა და დავა გამოიწვია ევროკავშირის ლიდერებში. მესაზღვრეები ავსტრიის საზღვართან მისულ ნებისმიერ ადამიანს დოკუმენტს უმოწმებენ. ახალი წესების თანახმად, საზღვარს მხოლოდ ის მიგრანტები გადაკვეთენ, რომლებსაც პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნის შესაბამისი ფორმალური უფლება აქვთ.

ავსტრიის კანცლერის ვერნერ ფაიმანის განცხადებით, მიგრაციული ნაკადების ზრდა შენგენის ზონის არსებობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის, მისი გადარჩენა კი მხოლოდ შიდა საზღვრების დაცვითაა შესაძლებელი. „თუკი ევროკავშირი თავის გარე საზღვრების დაცვას სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს, მთლიანად შენგენის ზონის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, რის შემდეგაც თითოეულ ქვეყანას თავად მოუწევს საკუთარი საზღვრების დაცვა“, - განაცხადა ვერნერ ფეიმანმა გაზეთ *Osterreich*-თან ინტერვიუში და დასძინა, რომ თუკი ორგანიზაციის საზღვრები დაცული არ იქნება, ევროკავშირის არსებობა ეჭვის ქვეშ დადგება. ოფიციალურმა ვენამ უკვე დაიწყო მკაცრი ზომების გატარება მის სამხრეთით, სლოვენიის საზღვართან. ლტოლვილებმა შესაბამისი საიდენტიფიკაციო ბარათი უნდა წარმოადგინონ.

ლტოლვილების მიმართ აღნიშნული პოლიტიკის ფონზე, გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის განცხადებით, ევროზონის შენარჩუნება შენგენის ზონის დაცვის გარეშე შესაძლებელია, - ეს განცხადება მერკელმა „დოიჩე ველესთან“ საუბარში გააკეთა.

,,ევროპულ სივრცეში ღია საზღვრები ევროპის ერთიანი ვალუტის არსებობის წინაპირობაა. საზღვრების თავისუფლად გადაკვეთა პირდაპირ არის დაკავშირებული ერთმანეთთან“, - აღნიშნა მერკელმა. კანცლერის განცხადებით, გერმანიამ უნდა იბრძოლოს შენგენის ზონაში მოქალაქეებს თავისუფლად გადაადგილების უფლების შენარჩუნებისათვის და საჭიროების შემთხვევაში, შენგენის ზონის დაცვის მიზნით ევროკავშირის გარე საზღვრები უნდა გაძლიერდეს.

გერმანია კრიტიკული განცხადებებით გამოეხმაურა მეზობელი დანიის გადაწყვეტილებას სასაზღვრო კონტროლის დროებით განახლების შესახებ. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ ვალტერ შტაინმაიერი მთელ ევროპაში თავისუფლად გადაადგილების საფრთხეს ხედავს - პრინციპს, რომელიც ბევრს, მათ შორის შტაინმაიერსაც, ევროპის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვრად მიაჩნია. გერმანიის, დანიისა და შვედეთის წარმომადგენლები სასაზღვრო საკითხებზე ბრიუსელში საგანგებო შეხვედრას გამართავენ.

ევროკავშირის შიდა საზღვრების გამკაცრებას ითხოვენ ვიშეგრადის ჯგუფის (პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი და უნგრეთი) ქვეყნებიც, რომლებმაც 19 იანვარს პრაღაში შეხვედრა გამართეს. ჩეხეთის პრემიერ-მინისტრის, მილან ჩოვანეცის განცხადებით, ერთადერთი გზა უკანონო მიგრაციების შესაჩერებლად საზღვრების გამკაცრებაა. „მუსლიმთა საძმოს“ შეუძლია მოამზადოს მიგრანტთა მზარდი ტალღა და თანდათან მოიპოვოს კონტროლი ევროპაზე, როგორც ეს ხდება დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქალაქში, სადაც ახლა უკვე პოლიციას ღამე შესვლის ეშინია“, - ეს სიტყვები 4 იანვარს ჩეხეთის რადიო „ჩესკი როზჰლას პლუსთან“ საუბრისას წარმოთქვა პრეზიდენტმა მილოშ ზემანმა. მისი ქვეყანა არ მიეკუთვნება ევროკავშირის წევრებს, რომლებში მოხვედრაც მიგრანტების უმრავლესობას სურს. ის არც „გამტარის“ ფუნქციას ასრულებს, რომლის მეშვეობითაც მიგრანტები ჩრდილოეთ ევროპას მიაშურებენ. და მაინც, ჩეხეთს (ისევე როგორც ევროკავშირის ზოგ სხვა აღმოსავლეთევროპელ წევრს, მათ შორის - სლოვაკეთსა და პოლონეთს) დაუფარავად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს მიგრანტთა მიღებისსაკითხისადმი.

ლტოლვილთა პრობლემას განსაკუთრებით ნეგატიურად აღიქვამს პოლონეთის ახალი მთავრობა. პრემიერ-მინისტრ შილდოს განცხადებით, 2016 წელს ქვეყანა მიიღებს მიგრანტთა შემცირებულ რაოდენობას და არა იმდენს, რაც წინა მთავრობის მიერ იყო განსაზღვრული.

„ეს იყო არასწორი გადაწყვეტილება, ვაცნობიერებთ რა წინა ხელისუფლების მიერ აღებულ ვალდებულებებს, ვფიქრობთ ქვეყანა მიიღებს ლტოლვილთა მხოლოდ იმ რაოდენობას, რისი საშუალებაც ამჟამად აქვს. ამასთანავე, ვიტოვებთ უფლებას თავად ავირჩიოთ მიგრანტთა რომელი ჯგუფი შემოვა პოლონეთში“, - განაცხადა ბეატა შიდლომ.

ევროპაში შექმნილი კრიზისი თავისი ხასიათისა და მასშტაბურობიდან გამომდინარე, ძალიან კომპლექსურია, რამაც ევროკავშირის დღის წესრიგი საგანგებო რეჟიმზე გადაიყვანა. ექნება თუ არა ევროკავშირში შექმნილ კრიზისს გავლენა საქართველოს უვიზო მიმოსვლის რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე დასკვნების გამოტანა რთულია. ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენების ფონზე საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმებასთან დაკავშირებით ინტერესმა იმატა. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ შენგენის ზონაში მიმდინარე დრამატული პროცესები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობაზე აისახოს. შესაბამისად, არც საქართველოსა და უკრაინასთან უვიზო მიმოვლის რეჟიმს არ უნდა შეექმნას საფრთხე. ვიზა ლიბერალიზაციაზე დადებითი შეფასების მიღების შემდეგ, პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღებისთვის ქმედებები ეტაპობრივად ხორციელდება.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ განაგრძოს რეფორმები ევროპასთან უფრო მეტად დაახლოებისთვის.

ლტოლვილების კრიზისმა კიდევ ერთხელ ეჭვქვეშ დააყენა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ერთიანობა და გამოავლინა ინტეგრირებული პოლიტიკის ნაკლებობა. როგორ გაუმკლავდება ევროპული ინსტიტუტი მიგრანტთა კრიზისს საკუთარი ფინანსური თუ ეკონომიკური პრობლემების ფონზე, იმაზეა დამოკიდებულია, თუ რამდენად ერთიანი იქნება მისი წევრი ქვეყნების პოციზია.

# დაეში საკუთარ მებრძოლებს შემოსავალს უმცირებს

ბუბამ ფცქიალაძე (ბულგარეთი)

ისლამურმა სახელმწიფომ გადაწყვიტა, მის მებრძოლებსა და წევრებს ხელფასები შეუმციროს. ინფორმაცია ქალაქ ალ-რაქაში არსებულ სირიის ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციის წევრებისთვის გახდა ცნობილი. ხელფასის შემცირება, ძირითადად, ორგანიზაციის სირიელ მებრძოლებს შეეხებათ, რომლებიც შიშობენ, რომ ეს სხვა ქვეყნებიდან მოსული მებრძოლებისთვის ხელფასების გაზრდის ხარჯზე მოხდა.

შემოსავლის შემცირება ნაწილობრივ დაჯგუფებაში შემავალი სამხედროების მიერ საკვებზე გადაჭარბებული თანხების ხარჯვას უკავშირდება. თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ მათი ნაბიჯი ბოლო პერიოდში მათს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამხედრო დარტყმების შედეგად ნავთობის რამდენიმე ჭაბურღილის განადგურების შედეგია, რის გამოც, საბოლოოდ, დაჯგუფებას ფინანსების შემცირება მოუხდა.

ხელფასებთან დაკავშირებული ცვლილება „განსაკუთრებულ მდგომარეობას“ მიეწერება. როგორც *Jerusalem Post* იტყობინება, გასული თვის ოფიციალური დოკუმენტის ჩვენებით, ტერორისტული ორგანიზაცია ახალი გადაწყვეტილების მიზეზებს არ ხსნის. თუმცა ფაქტია, რომ მათი ქმედება მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც აშშ-ის ინიციატივით შექმნილმა კოალიციამ საჰაერო დარტყმები განახორციელა ამავე თვეში ერაყის ქალაქ მოსულში, სადაც ტერორისტებს ფულის საცავი ჰქონდათ. ამ ადგილის დაბომბვის შედეგად მიღებული ზიანის გამო მოსულში დაჯგუფების წევრებმა ადგილობრივი მაცხოვრებლებისგან „შემოწირულობების“ აღება დაიწყეს.

დაეშის მებრძოლები თვეში საშუალოდ 400 აშშ დოლარიდან 1200 დოლარამდე გამოიმუშავებენ, ამას ემატება 50 დოლარი დამატებით მათი ცოლებისთვის და 25 თითოეული ბავშვისთვის. კოალიციის მიერ განხორციელებული შეტევის შემდეგ კი, როგორც ჩანს, ეს რიცხვები განახევრდება.

იმის დასამტკიცებლად, რომ დაეში ლეგიტიმური სახელმწიფოა, მას გააჩნია სოციალური კეთილდღეობის სერვისი, მთავრობა. ასევე, ტერორისტული დაჯგუფება დაქვემდებარებაში მყოფთაგან გადასახადებსაც კრეფს, ისინი არეგულირებენ ფასებს, აქვთ საკუთარი ვალუტა და ჯანმრთელობის უფასო დაზღვევა. მათი ბიუჯეტი, ბოლო დროს მიღებული ზარალის მიუხედავად, მაინც დიდია და რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარს შეადგენს.

„ისლამურ სახელმწიფოს“ შემოსავლის რამდენიმე წყარო გააჩნია: პირველი და უმთავრესი ნავთობის გაყიდვით მიღებული ფულია. ორგანიზაციის ხელშია ჩრდილოეთ ერაყში არსებული რამდენიმე საბადო. ტერორისტული დაჯგუფება თავის პროდუქციას შედარებით იაფად ყიდის. როგორც მედიის სხვადასხვა წყარო იტყობინება, მყიდველები სირიიდან, თურქეთიდან და ერაყის ქურთისტანის რეგიონიდან არიან და, მათ გარდა, თვით ბაშარ ალ-ასადის რეჟიმიც კი ყიდულობს ნავთობს. საშუალოდ, დაეშის კონტროლირებად ტერიტორიაზე ყოველდღე 150 000-ზე მეტი ბარელი ნავთობი იწარმოება, თუმცა, ცხადია, კოალიციის საჰაერო დაბომბვების შემდეგ ეს რიცხვი შემცირდა.

ამას გარდა, „ისლამური სახელმწიფო“ გადასახადებსაც კრეფს მისსავე ტერიტორიაზე მცხოვრებთაგან. შემოსავლის კიდევ ერთი წყარო დონორებისგან მოდის. ისინი საუდის არაბეთიდან, ყატარიდან, ქუვეითიდან და არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან არიან.

მდიდარი „ინვესტორების“ განზრახვები სხვადასხვაგვარია. ზოგიერთი მათგანის მიზეზი ირანისა და ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის მიმართ ზიზღია და, შესაბამისად, სურვილი აქვთ, ტერორისტულმა დაჯგუფებამ მათი არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შემოწირულობები ორგანიზაციის სხვა წყაროებთან მიმართებით არც ისე დიდია, ეს მაინც პრობლემად რჩება, რადგან, ამკრძალავი კანონების მიუხედავად, ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ფულადი გადარიცხვა მაინც ხორციელდება. გამონაკლისი მხოლოდ ყატარია, რომლის მთავრობა არც ისე დიდი ძალებით ცდილობს, მსგავს ტენდენციას შეებრძოლოს. ორგანიზაციის თანხების ნაწილი მოსულის ბანკებზეც მოდის, რომელსაც ტერორისტები აკონტროლებენ.

დაეში სხვადასხვა ქვეყნებისგან ფულის გამოძალვის მიზნით ჯარისკაცებს იტაცებენ, რომლებსაც გარკვეული თანხის სანაცვლოდ უკან აბრუნებენ. ორგანიზაციის ხელშია რამდენიმე მნიშვნელოვანი მუზეუმიც, რომლის არტეფაქტების ნაწილსაც ყიდის.

ტერორისტული დაჯგუფების მებრძოლთა რაოდენობის ზუსტად დადგენა საკმაოდ რთულია. რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების (FSB) ხელმძღვანელის, ევგენი სუსოიევის გასული წლის ნოემბერში გაკეთებული განცხადებით, ჯიჰადისტი მებრძოლების რიცხვი, ვინც ერაყსა და სირიაში ისლამური სახელმწიფოსთვის იბრძვის, 80 000-ს შეადგენს, აქედან 50 ათასი სირიაში იბრძოდა, 30 000 - ერაყში. ეს სტატისტიკა არ მოიცავს იმ მებრძოლებს, ვინც დაეშის მიერ საკუთარ ტერიტორიებად გამოცხადებულ სხვა ქვეყნებში იბრძვიან, სახელდობრ, ეგვიპტის სინაის ნახევარკუნძულის ნაწილში, ლიბიასა და აფრიკის ჩრდილოეთსა თუ ცენტრალურ რეგიონებში. მისივე თქმით, 80 ათასიდან 30 ათასი უცხოეთიდან შესული მებრძოლები არიან, უმეტესად ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთი აფრიკის ქვეყნებიდან. დაახლოებით 7 ათასი მებრძოლი მოდის პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებიდან. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები მუდამ ომის მდგომარეობაში არიან და ამასთანავე მათ რიცხვებს ახალი ჯგუფები ემატებიან, მათი რაოდენობა მუდმივად მერყეობს.

დაეშის მებრძოლთა რიგებს საქართველოდანაც უერთდებიან. ზუსტი რაოდენობის დადგენა ამ შემთხვევაშიც რთულია, თუმცა ეს რიცხვი 50-დან 100-მდე უნდა მერყეობდეს. მებრძოლები, ძირითადად, პანკისის ხეობიდან და მთიანი აჭარიდან მიდიან, სადაც მუსლიმი მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი მაღალია. ქვეყნის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია, რომ აღიკვეთოს ასეთი მებრძოლების საქართველოდან სირიასა და ერაყში გადასვლა. მათი წასვლით იზრდება რადიკალიზაციის საფრთხე სახელმწიფოს შიგნით, რადგან უკან დაბრუნებული მებრძოლები პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენენ ქვეყნის უსაფრთხოებისთვის. მათ შეუძლიათ, გავლენა იქონიონ დანარჩენ მუსლიმ მოსახლეობაზე და გაზარდონ ისლამური რადიკალიზმი. ამას გარდა, ქვეყნიდან გასული რადიკალური მებრძოლები საქართველოს დეზინტეგრაციითაც ემუქრებიან და სხვადასხვა სახის განცხადებას ავრცელებენ მათ შორის ჯიჰადის გამოცხადებაზე.

ტერორისტული ორგანიზაცია საქართველოს იმ ტერიტორიაში მოიაზრებს, რომლის მართვაზეც დაჯგუფებას პრეტენზია გააჩნია. “ახალი რუკა“ ისლამისტურმა დაჯგუფებამ 2015 წლის 24 ივნისს გამოაქვეყნა და საქართველო „კავკასიის ვილაიეთის“ შემადგენლობაშია შეყვანილი ჩრდილოეთი კავკასიის რამდენიმე ერთეულთან ერთად. შესაბამისად, ორგანიზაციის რაიმე სახით გაძლიერება საქართველოსთვის პოტენციური საფრთხის შემცველია.

# ჩრდილოეთ კოხეა ჩრდილოეთ კავკასიაში

თეიმურაზ შა

ჩრდილოეთ კავკასია არასდროს ყოფილა ისეთი მორჩილი კრემლის მიმართ, როგორც დღეს და ეს არა ძლიერი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფაქტორითაა განპირობებული, არამედ კადიროვის ფიგურითა და შიშზე აგებული საზოგადოებრივი მმართველობით, რაც ნათლად აისახა 22 იანვრის „მშვიდობიან მსვლელობაში“.

1992 წელს აჰმად კადიროვი ჩეჩნეთის ერთ-ერთი უმთავრესი მუფტის სტატუსს იკავებდა და ანტი-რუსულ სეპერატისტულ მოღვაწეობას ეწეოდა. მის გვერდით მუდამ მისი ახალგაზრდა ვაჟი - 16 წლის რამზან კადიროვი იდგა. 1994 წელს ჩეჩნეთის თვითგამოცხადებულმა რესპუბლიკა იჩქერიამ რუსეთს დაუმორჩილებლობა და ჯიჰადი გამოუცხადა, რამაც შედეგად პირველი ჩეჩნური ომი გამოიწვია. 1999 წელს იჩქერია სუსტდება - განადგურებული ინფრასტრუქტურა, დაცარიელებული რესპუბლიკა და გაღატაკებული მოსახლეობა, რაც რეკეტს, როგორც ხაზინის შევსების ერთადერთ წყაროს, შეუძლებელს ხდის. კადიროვები ამას კარგად ხვდებიან, ამიტომაც რუსეთის ფედერაციას ერთგულებას უცხადებენ და ყოფილი მოკავშირეების წინააღმდეგ კრემლთან ინტენსიურ თანამრშომლობას იწყებენ.

ჩეჩნეთში გამარჯვების შედეგად 2003 წელს კრემლი რესპუბლიკის პრეზიდენტად აჰმად კადიროვს ნიშნავს, მას რუსეთის გმირის ორდენი ენიჭება, ხოლო თვით რესპუბლიკაში ომის შედაგად განადგურებული ქალაქ-სოფლების აღმშენებლობა იწყება. 2004 წელს თავდასხმის შედეგად აჰმატ კადიროვი იღუპება, რასაც ჩეჩნეთში რამდენიმე მმართველის შეცვლა მოსდევს. ამ დროის განმავლობაში რამზან კადიროვი მმართველი პარტიის „ედინაია როსია“-ს წევრი ხდება და უკვე 2007 წლის 15 თებერვალს ჩეჩნეთის პრეზიდენტად გვევლინება.

რამზან კადიროვის პრეზიდენტობის პერიოდს უკავშირდება ჩეჩნეთში ადამიანთა უფლებების უხეში დარღვევა - გატაცება და სერიული, ხშირად კლანური მკვლელობები, კოლექტიური დასჯა, საქვეყნოდ დამცირება, უძრავი ქონების დაწვა ან უკანონო გასხვისება, ტოტალური ტერორისა და შიშის დანერგვა, რაშიც უშუალოდ მონაწილეობას იღებს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

აღსანიშანვია, რომ მისივე მმართველობას დროს ხდება ჩეჩნეთის რადკალური ისლამიზაცია, რაზეც მიუთითებს სკოლებსა და უნივერსიტეტებში, ასევე საზეიმო ადგილებზე ქალებისთვის ჩადრის ტარების აუცილებლობა, ქორწინების დაშვება აკვნიდან, ღიად გამოხატული ისლამური იდეოლოგია, სისხლის აღებაზე თვალის დახუჭვა და მრავალი სხვა. 2012 წლის „Open Doors“-ის მონაცემთა მიხედვით ჩეჩნეთი იმ რეგიონების 20-ეულში აღმოჩნდა, სადაც ქრისტიანებს მთავრობა დევნის ან ავიწროვებს.

კადიროვის სახელთანაა დაკავშირებული არა მარტო საერთაშორისო, არამედ ფედერაციული უფლედაბმცველი ორგანიზაციების დარბევა და რესპუბლიკიდან გარიყვა, ადამიანთა წამებები, უკანონო ლეგიონების დაარსება, ქალების გატაცება და ჰარამხანების აგება.

საინტერესო ამ ყველაფერში ის არის, რომ მიუხედავად ამდენი აშკარა დანაშაულისა, რომელიც ყოველდღიურად გრძელდება, ის მაინც სარგებლობს პუტინის მხარდაჭერით. ეს ყოველივე შეიძლება ერთი მიზეზით აიხსნას - კრემლს ეშინია კონტროლის დაკარგვა ჩრდილოეთ კავკასიაში, ამიტომ შიშის დანერგვის მიზნით ის ხელს არ უშლის თავისივე პიროვნების კულტის ამაღლების მსურველ კადიროვს აღასრულოს პოპულისტური, ქარიზმატული, ტირანული და ეგოცენტრული მისწრაფებები.

თუმცა არც კადიროვი რჩება ვალში - თავის სოციალური ქსელების გვერდებზე ის ღიად

ლანძღავს დასავლეთს, უფლებადამცველ ორგანიზაციებს, ემხრობა პუტინს და არც ოპოზიციას ივიწყებს.

2015 წლის 30 დეკემბერს „კავკაზ პრავდა“-მ *Instagram*-ზე გამოაქვეყნა ოპოზიციური ლიდერის ილია იაშინის ინტერვიუ, სადაც იაშინი ნემცოვის მკვლელობაში კადიროვის კვალზე საუბრობს. კადიროვი პოსტს იმდღესვე გამოეხმაურა და მას სასაცილო ადამიანი უწოდა. რამდენიმე დღეში კი, იაშინის ბოდიშის მოხდის ვიდეოც გავრცელა თავისივე ინსტაგრამზე კომენტარით „ბოდიში მიღებულია“.

ამ ყველაფერმა საზოგადოებაში კადიროვის მიმართ პროტესტი გამოიწვია, რიგი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეების მიერ გაკეთდა განცხადებები იმის შესახებ, რომ კადიროვი სულ უფრო და უფრო ამპარტავანი და ტირანული ხდება. ჩეჩნეთის პრეზიდენტმა საპასუხოდ განაცხადა, რომ „ყველა ოპოზიციონერი არის ქვეყნის მოღალატე და ისინი რუსეთში დასავლური სპეცსამსახურების მიზნებს ემსახურებიან“.

ინტენეტში კადიროვის წინააღმდეგ კამპანია აგორდა „კადიროვი რუსეთის მტერია“, რომელის საპასუხოდ მისმა მხარდამჭერებმაც არ დააყოვნეს ფოტოებს „კადიროვი რუსეთის პატრიოტია“ - წარწერით ავრცელებენ. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტში პრეზიდენტის მხარდამჭერთა რიცხვი 8-ს არ აღემატებოდა, ჩეჩნეთში მისი მხარდამჭერი მშვიდობიანი აქცია გამოაცხადეს.

კადიროვის რუსეთისადმი პატრიოტობის მხარდამჭერი მშვიდობიანი მარში 22 იანვარს ჩეჩნეთში გაიმართა. სხვადასხვა მონაცემებით მასში მონაწილეობა მიიღო სულ მცირე 800 000 კაცმა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩეჩნეთის პოლიციის მიხედვით, მსვლელობაში მონაწილეობა მიიღო 1 მილიონმა მოსახლემ (მაშინ როცა ჩეჩნეთის მოსახლეობა შეადგენს 1,37 მილიონ კაცს, რომელთა შორის როსსტატის მიხედვით 19,1% - 261 670 კაცს შეადგენენ 18 წლამდე ასაკის პირები), რაც იმას ნიშნავს, რომ გროზნოს აქციაში მოსახლეობის 85%-ი მონაწილეობდა. ეს შეიძლება აბსურდულად ჟღერდეს, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ წინა მშვიდობიან აქციებში ჩეჩნეთის მოსახლეობის უმეტესს ნაწილს მარშირებას აიძულებდნენ, 1 მილიონიც საკმაოდ რეალისტური ციფრია.

აღსანიშნავია, რომ მსვლელობის მონაწილეებს ხელში ლიდერების პორტრეტები, დროშები და ტრანსპარანტები ეჭირათ, რომლის დამზადებისთვისაც მილიონობით რუბლი დაიხარჯა.

Tiflis PALACE

# Palace of Hospitalily

Hotel "Tiflis Palace" Offers 7 Categories of Elegantly Designed, Comfortable Rooms from 18m² to 140m² with Picturesque Views of Old Tbilisi.
Everything to Ensure Luxury Comfort and the Best Rest for Our Dear Guests!

# Conference & Banquet Services

Tiflis Palace Provides the Perfect Environment for Business Meetings as well as for a Truly Romantic Wedding in a Legendary Place with an Astonishing and Unforgettable Views.
Trust Your Business Event to Our Professionals!

3, Gorgasali Street, 0105, Tbilisi, Georgia  Tel: +995 32 2 000 245  www.tiflispalace.ge

CUSHMAN & WAKEFIELD® | VERITAS BROWN

INDEPENDENTLY OWNED & OPERATED MEMBER OF THE CUSHMAN & WAKEFIELD ALLIANCE

რეგიონის რჩეული უძრავი ქონების საკონსულტაციო კომპანია

კვლევა
ვირტუალური ოფისები
უძრავი ქონების მართვა
უძრავი ქონების შეფასება
საინვესტიციო მომსახურება

ოფისები
60
ქვეყანაში
მსოფლიოს მასშტაბით

43,000
თანამშრომელი

$5
მილიარდი
დოლარის მოგება

$191
მილიარდი
დოლარის ტრანზაქცია

4.3
მილიარდი
კვ.ფუტი ქონება მართვაში

ელ-ფოსტა: info@veritasbrown.com; www.veritasbrown.com
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, X ბლოკი, VI სართული; ტ: +995 322 47 48 49

# ხელსაყრელი ბიზნეს ბარომეტრ - საქართველოს მთავარი გზავნილი დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე

ბიორბი ჩაფიძე (ბულბარეთი)

შვეიცარიის ქალაქ დავოსში 20-23 იანვარს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის რიგით 46-ე ყოველწლიური შეხვედრა გაიმართა, რომელზეც წარმოდგენილნი იყვნენ სახელმწიფოთა ლიდერები, ეკონომიკური პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციის დელეგატები და მსხვილი ბიზნესმენები. ფორუმის მთავარი თემა „მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციაა“, რაც წარმოების არსებული სტანდარტების ტრანსფორმაციასა და ციფრულ ტექნოლოგიებთან შერწყმას გულისხმობს. ეს პროცესი გაზრდის წარმოების დონეს და ხელს შეუწყობს ფიზიკურ, ბიოლოგიურ და ციფრულ სფეროებს შორის განსხვავების შემცირებას. ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა პრემიერ მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, სესიაზე „ევრაზია და თანამედროვე აბრეშუმის გზა“, სიტყვით გამოსვლაში ისაუბრა საქართველოს მიმზიდველ საინვესტიციო გარემოსა და ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფანში ქვეყნის საკვანძო მნიშვნელობაზე.

პრემიერმა მოხსენებაში ყურადღება გაამახვილა საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობაზე მეზობელ სახელმწიფოებთან, ყაზახეთთან და შუა აზიის ქვეყნებთან, რაც სამხრეთ კავკასიური სატრანსპორტო დერეფნის მართვისადმი ერთიანი მიდგომის შემუშავებას უწყობს ხელს. კვირიკაშვილის განცხადებით, ევროპას სჭირდება ჩინეთისა და სხვა აზიური ქვეყნების დინამიურობა, ხოლო აზიურ ეკონომიკებს - ევროპული ტექნოლოგიური ნოუ-ჰაუ და გამოცდილება. აქცენტი დაისვა საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობაზე ამ ურთიერთგაცვლის უზრუნველყოფაში, განსაკუთრებით კი ქვეყნის სატრანსპორტო როლზე საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვებში.

ახალი აბრეშუმის გზის აღდგენა და ინიციატივა „ერთი სარტყელი - ერთი გზა“ ახალ რეალობას ქმნის ევრაზიის კონტინენტზე აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების გაფართოებისათვის. საქართველოს გააზრებული აქვს ამ პროცესებში ქვეყნის აქტიურად ჩართვის აუცილებლობა, რის მისაღწევადაც მიმდინარეობს რკინიგზისა და საავტომობილო მაგისტრალების განვითარების ინფრასტრუქტურული პროექტები. აღნიშნული იყო, რომ ქვეყნის მთავრობა უახლოეს მომავალში შავ ზღვაში ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობასაც დაიწყებს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ ფაქტს, რომ ჩინეთის სინძიანის პროვინციიდან სატვირთო მატარებელი თბილისში 7 დღეში ჩამოვიდა, ხოლო ევროპაში მისი ჩასვლის დრო 10-11 დღეა. ამ სატრანსპორტო დერეფნის უფრო დიდი დატვირთვით ამუშავებისათვის არსებობს გაზრდილი მოთხოვნა კერძო კომპანიების მხრიდან, რომლებიც საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვებს ახორციელებენ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გზა გაცილებით სწრაფი და ეფექტურია, ვიდრე სხვა სატრანსპორტო არტერიები, პრემიერის თქმით, ეს თანამშრომლობასა და პარტნიორობაზე მიუთითებს და არა კონკურენციაზე.

შეხვედრაზე აღნიშნული იყო, რომ საქართველოს აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები რეგიონის ქვეყნებთან და აგრეთვე ევროკავშირთან, ხოლო ჩინეთთან მსგავსი შეთანხმების გასაფორმებლად მოლაპარაკებები ახლახანს დაიწყო. ეს ხელშეკრულებები საქართველოს რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანად აქცევს, რომელშიც მოქმედებს ლიბერალური რეგულაციები, არსებობს კვალიფიციური სამუშაო ძალა და შედარებით დაბალი ტარიფები ენერგორესურსებზე, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის როლის გაზრდას აღმოსავლეთ-დასავლეთის პარტნიორობაში.

გიორგი კვირიკაშვილმა შეხვედრა გამართა „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ (EBRD)–ის პრეზიდენტ სუმა ჩაკრაბატისთან, რომლის განცხადებით, ბანკის ფინანსური დახმარების მოცულობა და ინვესტიციები 2016 წელს კიდევ უფრო გაიზრდება. გარდა ამისა განხილული იყო საქართველოში კერძო სექტორის სტიმულირებისა და ბიზნესგარემოს განვითარების პერსპექტივები. შეხვედრა შედგა „ევროპის საინვესტიციო ბანკის“ (EIB) პრეზიდენტთანაც, სადაც პრემიერმა ისაუბრა ბანკის მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურების მიმდინარეობასა და სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ, რომელიც ქართულ მცირე და საშუალო ბიზნესს წაახალისებს.

პირველ რიგში, მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა საქართველოს შეიძლება მოუტანოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაზრდა, იმ შემთხვევაში თუ ქართულმა დელეგაციამ ქვეყნის მიმზიდველი საინვესტიციო გარემოთი დაინტერესა უცხოელი მსხვილი ბიზნესის მფლობელები, რომლებიც ფორუმზე მრავლად იყვნენ წარმოდგენილნი. ქართული დელეგაციის მიზანი ფორუმზე მოწვეული ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისათვის ქვეყნის ბიზნეს-კლიმატის, ინვესტირების პირობებისა და საგადასახადო ტარიფების სიმცირის შესახებ ინფორმაციის მიწოდება იყო. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი კარგი პლატფორმაა, მოხდეს ქვეყნის პოპულარიზაცია და მსხვილი კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრა. თუმცა, წინა წლებში დავოსის ფორუმის შედეგე-ბი საქართველოსთვის მოკრძალებული იყო, ვინაიდან უცხოური ინვესტიციების მოცულობა არსებითად არ გაზრდილა.

ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, წლევანდელ ღონისძიებაზე პრემიერ-მინისტრმა შეხვედრა გამართა საქართველოთი დაინტერესებულ მსხვილ უცხოურ კომპანიებთან. მათგან გამორჩეულია „*Tata Sons Ltd.*“-ი - ინდური კომპანია, რომელიც უახლოეს მომავალში ინდური სასტუმროების კავშირის სამუშაო ჯგუფთან ერთად საქართველოში ჩამოსვლასა და საინვესტიციო გარემოს ადგილზე შესწავლას გეგმავს. აღნიშნული კომპანია საქართველოში უკვე ახორციელებს რამდენიმე მასშტაბურ პროექტს, რომელთა ჯამური საინვესტიციო კაპიტალი 650 მილიონი დოლარია. აგრეთვე ფორუმის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე “*British Petroleum*“-ის აღმასრულებელმა დირექტორმა განაცხადა, რომ კომპანია 150 მილიონ დოლარს დახარჯავს ბაქო-სუფსის ნავთობსადენის გარკვეული მონაკვეთების მოდერნიზაციისთვის.

ქართულმა დელეგაციამ შეხვედრა გამართა “*Majid Al Futtaim Group*”–ის ხელმძღვანელთანაც, რომელიც საქართველოში სასტუმროების ბიზნესითა და სავაჭრო ცენტრების მშენებლობითაა დაინტერესებული, ხოლო დეტალებზე სამუშაო შეხვედრის ფარგლებში საქართველოს თანაინვესტირების ფონდის წარმომადგენლებთან ისაუბრეს. საქართველოში ინვესტირების პირობების შესახებ გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გაიმართა „ვიმპელკომ ლიმითედის“ აღმასრულებელ ოფიცერთანაც.

დავოსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი იყო „ვაშინგტონის სახელმწიფო საინვესტიციო საბჭოს სამუშაო ჯგუფის“ (*the WSIB*) პრეზიდენტის განცხადება იმის შესახებ, რომ გარემოს შესწავლისა და ენერგო და უძრავი საკუთრების სფეროში ინვესტირების მიზნით, კომპანიის წარმომადგენლობა საქართველოს ეწვევა. ჯგუფის პრეზიდენტმა ყურადღება გამახვილა საქართველოს სტრატეგიულ მდებარეობასა და ლიბერალურ საგადასახადო კანონმდებლობაზეც.

როგორც ჩანს, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში ქართულმა დელეგაციამ ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვისათვის აქტიური სამუშაოები განახორციელა. სწორედ ამ მიზნით იყვნენ დელეგაციაში წარმოდგენილნი ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი და საქართველოს თანაინვესტირების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი. მეორე საკითხია, რამდენად უნდა ველოდოთ ქვეყანაში პირდაპირი ინვესტიციების გაზრდასა და მსხვილი უცხოური კაპიტალის შემოდინებას, როდესაც ადგილობრივი ბიზნეს სექტორი აქტიურობით არ გამოირჩევა - ეს კი ინვესტორისათვის კაპიტალდაბანდების ადგილის განსასაზღვრის ერთ-ერთი კრიტერიუმია. მიუხედავად ამისა, ფორუმზე საქართველოს ეკონომიკისა და ბიზნეს კლიმატის მიმართ ცნობადობა ამაღლდა, რაც მომავალი ინვესტიციების იმედს აჩენს.

# ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია: საქართველო რჩება დაუცველი გარე შოკებისგან

ნინო შარაშიძე (ლუქსემბურგი) EXCLUSIVE

მიმდინარე წლის 19-21 იანვარს ჟენევაში, შვეიცარია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) ფარგლებში 2009 წლის შემდეგ გაიმართა რიგით მეორე საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის მიმოხილვის ანგარიშის განხილვასთან დაკავშირებული შეხვედრა.

აღნიშნულ ღონისძიებაზე საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე, რომელმაც შეხვედრის ფარგლებში წევრ ქვეყნებს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია ქვეყანაში 2009-2014 წლებში სავაჭრო პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში განხორციელებული რეფორმების შესახებ.

ვმო-ს სამდივნოს ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველო რჩება დაუცველი გარე შოკების მიმართ, რაც განპირობებულია მისი დამოკიდებულებით პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე და ფულად გზავნილებზე. შეფასებაში ასევე ნათქვამია, რომ 2015 წელს მოსალოდნელი იყო რომ ფინანსური ზრდა დაეცემოდა 2%-მდე, რაც გამოწვეულია ევროკავშირის ფინანსური მდგომარეობით, ისევე როგორც ეკონომიკური შეფერხებებით მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთში და რუსეთის ფედერაციაში განვითარებული რესესიით.

"2016 წელს მოსალოდნელია 2,5%-იანი ზრდა, რადგან გაუმჯობესდება საგარეო ეკონომიკური გარემო. ასევე შესაძლოა საშვალოვადიანი ზრდა დღევანდელი პოლიტიკური რეალობის ფონზე, ასევე გაზრდილი ხელმისაწვდომობით ბაზარზე და დაგეგმილი რეფორმებით. საშუალოვადიანი ზრდის პერსპექტივები დამოკიდებულია მთელი რიგ ფაქტორებზე, მათ შორის: გაუმჯობესებული ეკონომიკური კავშირები ევროკავშირთან; რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება (რომელიც წაადგება საქართველოს ვაჭრობისა და ტურიზმის დარგში); და მასიური რეფორმების განხორციელება, რომელიც ასახულია საქართველოს განვითარების სტრატეგიაში, რომელიც ხელს შეუწყობს კერძო ინვესტიციის ზრდას. ზრდის პერსპექტივები ასევე დამოკიდებული იმაზე თუ რამდენად შეძლებს საქართველო ისარგებლოს ასოცირების ხელშეკრულებით ევროკავშირთან, რომელიც გააუმჯობესებს ბიზნეს გარემოს და ხელს შეუწყობს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს", - ნათქვამია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ანგარიშში.

მოხსენებისას თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მეორე სავაჭრო პოლიტიკისგანხილვისასუკეთიქნა გაგებული საქართველოს სავაჭრო და საინვესტიციო პოლიტიკა, ისევე, როგორც განხილული იყო ის გამოწვევები, რომელსაც აწყდება საქართველო. "საქართველოს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო კონსტრუქციულ დისკუსიაში და მოახსინეს დროული რეაგირება წევრების შეკითხვებზე," - დასძინა მან.

ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მინისტრის მოადგილემ „ობზერვერთან" ექსკლუზიურ ინტერვიუში აღნიშნა, რომ 16 დელეგატი მათ შორის ევროკავშირი, აშშ, რუსეთის ფედერაცია, თურქეთი და ჩინეთი გამოეხმაურა საქართველოს ანგარიშს. „წევრმა ქვეყნებმა მაღალი შეფასება მისცეს ვაჭრობის ლიბერალიზაციის კუთხით საქართველოს მიერ განხორციელებულ რეფორმებს და მიესალმნენ საქართველოს მიერთებას ვმო-ს ვაჭრობის ხელშეწყობის შეთანხმებასთან (TFA)", - თქვა არველაძემ.

ასევე აღინიშნა, რომ საქართველო არის პირველი ქვეყანა, რომელმაც ამ შეთანხმების ფარგლებში განახორციელა B და C კატეგორიის ვალდებულებების ვმო-ში წარდგენა. ასევე, ქვეყნები მიესალმნენ საქართველოს მიერ ვმო-ს განახლებულ საინფორმაციო ტექნოლოგიების შეთანხმებასთან (ITA) მიერთების ინიცირებას.

შეხვედრაზე ევროკავშირის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ფარგლებში რეფორმების განხორციელების კუთხით საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს და დადებითად შეაფასა საქართველოს მიერ წარმოშობის წესების შესახებ პან-ევრო-ხმელთაშუაზღვის კონვენციასთან მიერთების პროცედურის ინიცირება. ასევე, აშშ-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა მხარს უჭერს საქართველოს კურსს ევროინტეგრაციის მიმართულებით და სჯერა, რომ DCFTA აღებული ვალდებულებების განხორციელების შედეგად კიდევ უფრო გაუმჯობესდება სავაჭრო და საინვესტიციო გარემო.

წევრები მიესალმებიან საქართველოს ძალისხმევას მოახდინოს ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში, რაც დასტურდება სავაჭრო რეჟიმის თანმიმდევრული ლიბერალიზაციით და მისი აქტიური მონაწილეობით მრავალმხრივ, რეგიონალურ და ორმხრივ სავაჭრო შეთანხმებებში. ასევე აღინიშნა, რომ ამ თვალსაზრისით, საქართველოს დიდწილად ამოძრავებს ევროკავშირთან დაახლოების მიზნები. ზოგიერთმა წევრმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ვმო-ს წინაშე აღებული ვალდებულებების თანმიმდევრული განხორციელება ასევე ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების აღსრულება, გააუმჯობესებს საქართველოს სავაჭრო და საინვესტიციო გარემოს.

მიუხედავად იმისა, რომ წევრმა სახელმწიფოებმა ძირითადად დადებითად შეაფასეს საქართველოში ანგარიშით წარმოდგენილი სავაჭრო და ეკონომიკური მიღწევები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რიგ სფეროებში, წევრებმა გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები სავაჭრო გარემოს გასაუმჯობესებლად. აღსანიშნავია, სურსათის უვნებლობის სფერო, წევრები დაინტერესდნენ როგორ აპირებს საქართველო ვმო-ს რეგულირების სისტემის დანერგვას და საერთაშორისო სტანდარტების დაცვას.

სურსათის უვნებლობის კუთხით, საქართველო წახალისებული იქნება მარეგულირებელი ჩარჩოს და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შესაქმნელად ცხოველთა ჯანმრთელობის კონტროლის მიზნით, ისევე როგორც აგრო-პროდუქტის ხარისხის ზრდა.

დისკუსიის მსვლელობის დროს დაისვა კითხვები ტელეკომუნიკაციების საკითხებზე ასევე საგადასახადო კოდექსზე, რომელიც გავლენას ახდენს საქართველოში ინვესტორებზე და იმსჯელეს ტექნიკურ საკითხებზე, თუ როდის გეგმავს საქართველო ელექტრონული ვიზების შეთავაზებას ტურისტებისთვის, რომელთაც სურთ ეწვიონ საქართველოს.

# ევროკავშირის ელჩმა იანოშ ჰერმანმა ქართველი ჟურნალისტები დაჯილდოვა

ნანა ბოხბილაძე

ევროკავშირის წარმომადგენლობამ საქართველოში 20 იანვარს გამარჯვებულ ჟურნალისტთა დაჯილდოების ცერემონია გამართა. ევროკავშირის პრიზი უკვე მეოთხე წელია პროფესიული, მიუკერძოებელი და ინფორმაციული ჟურნალისტიკის მხარდასაჭერად გაიცემა. წელს, საკონკურსოდ დასახელებულ 6 კატეგორიაში პროფესიონალთა ყველაზე დიდმა რაოდენობამ, 150 ჟურნალისტმა მიიღო მონაწილეობა. თითოეულ კატეგორიაში 3 ნომინანტი და შემდგომ 1 გამარჯვებული გამოვლინდა. პირველ 5 კატეგორიაში გამარჯვებულებს საჩუქრად გადაეცათ: ბროლის თასები და 1500 ევრო პროფესიული საქმიანობისათვის, ხოლო მეექვსე კატეგორიის გამარჯვებული ერთი თვით ლონდონში სტაჟირებაზე გაემგზავრება.

ცერემონიის ფარგლებში, დარბაზში გამოფენილი იყო ნომინირებული ფოტოები, პირველად საჯაროდ გამოქვეყნდა „ცნობის ფურცელი“ - ქართული გამოცემა, სადაც ექსკლუზიურად მოხდა სტატიისა და ფოტოს თანხვედრა ბეჭდურ მედიაში.

ჟიური ქართველი და უცხოელი წევრებისაგან შედგებოდა. როგორც ჟიურის ხელმძღვანელი პაატა ნაცვლიშვილი აცხადებს, საუკეთესოების ამორჩევა მეტად საპასუხისმგებლო და რთული, მაგრამ ძალიან საინტერესო იყო. მისივე თქმით, ამ პრიზის წესების მიხედვით, წლევანდელი გამარჯვებულები მომავალ წელს კონკურსში მონაწილეობას ვეღარ მიიღებენ.

დასახელებული იყო შემდეგ ნომინაციები: საუკეთესო საგამომძიებლო სტატია ბეჭდვით ან ონლაინმედიაში, რომლის გამარჯვებული გახდა ზურაბ ვარდიაშვილის სტატია „სიღარიბის შვილები“. შემდეგი პრიზი ერგო ლია ტოკლიკაშვილს საუკეთესო საგამოძებო ტელე/რადიო სიუჟეტისთვის, წარდგენილი ფილმით ,,ოქროსათვის შეწირული ქალაქი”.

საუკეთესო ონლაინ ან ბეჭდური ბლოგში პრიზი აიღო ანუნა ბუკიამ ნაშრომისთვის „პაციენტის დღიური“.

ყველაზე ინფორმატიულ ონლაინმედია საშუალებად დასახელდა *Chai-Khana.org*, რომელმაც აღნიშნულ ნომინაციაში დაამარცხა *ISET ECONOMIST BLOG* და *www.IPN.ge,* შესაბამისად, გამარჯვებულიც *Chai-Khana.org* გახდა.

საუკეთესო დოკუმენტური ფოტოს სექციაში, რომელიც ევროკავშირის ფასეულობებს ასახავს

გაიმარჯვა დარო სულაკაურის „ნაადრევმა ქორწინებამ“.

საუკეთესო ნაშრომი ბეჭდურ, აუდიოვიზუალურ/ონლაინმედიაში, რომელიც ეხება კონფლიქტების თემას (წარმოდგენილია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ IWPR-თან თანამშრომლობით), გამარჯვებული გახდა ნინო ჩიფჩიური სტატიით „ექიმები კონფლიქტის რეგიონში ჯანმრთელობის ხიდებს აშენებენ“. სწორედ ნინო ჩიფჩიური გაემგზავრება ლონდონში ერთ თვიან სტაჟირებაზე ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის სათაო ოფისში.

„ეს პრიზი არის ჩემთვის კიდევ უფრო მეტი სტიმულის მომცემი, რათა სიღრმისეულად ჩავეძიო ამ მიმართულებას-სამშვიდობო ჟურნალისტიკას და ჩემი, როგორც ჯურნალისტის მხრივ, გარკვეული წვლილი შევიტანო ქართველებისა და ოსების ურთიერთობის აღდგენაში,“ - აღნიშნა ნინო ჩიფჩიურმა „ობზერვერთან“ საუბარში.

ჟურნალისტის თქმით, ბოლო პერიოდში უფრო გააქტიურდა და გახშირდა შეხვედრები ქართველებსა და ოსებს შორის. სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, მათ შორის ექიმები, მესამე ქვეყანაში იკრიბებიან და სიცოცხლის გადარჩენაზე მსჯელობენ. „ჩემი თემა ეხებოდა სწორედ იმას, რომ ცხინვალის რეგიონიდან ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანები, რომლებიც ადგილზე ვერ ახერხებენ სათანადო სამედიცინო დამხარების მიღებას, გადმოდიან და ქართულ სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობენ.

რა თქმა უნდა, ესეც ერთგავრად აახლოებს ქართველებსა და ოსებს და ამ ჩატეხილი ხიდის აღდგენას უწყობს ხელს“, - აცხადებს ჟურნალისტი.

პირველ ხუთ გამარჯვებულს პრიზი ევროკავშირის ელჩმა იანშონ ჰერმანმა გადასცა ხოლო, მშვიდობის ჟურნალისტიკაში გამარჯვებული ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის მოადგილემ ერიკ ჰოგმა დააჯილდოვა. ცერემონიას ასევე ესწრებოდა საქართველოს ჟურნალისტიკის ქარტიის აღმასრულებელი დირექტორი ნატა ძველიშვილი, რომელმაც ჟურნალისტებისთვის ევროკავშირის პრიზის მნიშვნელობაზე ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ მომდევნო წლებში მონაწილეთა რიცხვი გაიზრდება და გამარჯვებულთა კვალიფიკაცია გაუმჯობესდება.

# საქართველოში სახელმწიფო მნიშვნელობის აკადემია დაარსდა

სოფიო ჯავახიშვილი

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისა და სტენფორდის უნივერსიტეტის დემოკრატიის, განვითარებისა და კანონის უზენაესობის ცენტრის ძალისხმევით, საქართველოში ლიდერთა განვითარების აკადემია დაარსდა. აკადემია აღმასრულებელი დონის ტრეინინგ-პროგრამაა, რომელიც მიზნად ისახავს შერჩეული კანდიდატების გადამზადებასა და მათთვის იმ უნარ-ჩვევების გაზიარებას, რომლებიც შემდგომ მათსავე პროფესიულ და კარიერულ წინსვლას შეუწყობს ხელს.

ტრეინინგს უძღვებოდნენ სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ფრენსის ფუკუიამა და ჯონ ჰოპკინსის სახელობის საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის პროფესორი ალან ტრეგერი. გარდა ამისა პროექტის ფარგლებში საქართველოში იმყოფებოდნენ საზღვარგარეთის აკადემიური თუ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, რომლებმაც სხვადასხვა თემებზე ლექციები წაიკითხეს.

პროგრამაში მონაწილეობაზე განაცხადი 250-ზე მეტმა ადამიანმა შეიტანა და მათგან მხოლოდ 30 შეირჩა (15 საქართველოდან და 15 სხვა განვითარებადი ქვეყნებიდან). ყველა მონაწილე საჯარო, ბიზნეს თუ სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციების მაღალი რანგის წარმომადგენელია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავიანთ საქმიანობაში უკვე ძალიან წარმატებული ადამიანები არიან, ახალ გამოწვევებსა და გამოცდილებაზე უარს არ ამბობენ. „ობზერვერთან“ საუბარში მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ისეთი დონის პროფესიონალის მოსმენა, როგორიც ფრენსის ფუკუიამაა იშვიათი ფუფუნებაა, რომელიც ხელიდან არ უნდა გაუშვა.

კურსის მთავარი მამოძრავებელი იდეა ისაა, რომ ეკონომიკურ-პოლიტიკური რეფორმა სხვა სფეროებისგან განსხვავებით, უამრავი ფაქტორის გავლენას განიცდის და ამიტომ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს მძლავრი მექანიზმი, რომელიც მოიცავს ქვეყნისთვის განმსაზღვრელ ეკონომიკურ, ფინანსურ, პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობებს. უფრო ზუსტად კი, ჰქონდეს უნარი დაისახოს განვითარების პრიორიტეტები და შეძლოს კოლაბორაციონიზმის გაღვივება ქვეყნის შიგნით.

აკადემიის გახსნის ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი დაესწრო და მონაწილეობა მიიღო ლიდერთა ფორუმის ფარგლებში გამართულ სადებატო სესიაში - „დემოკრატიის ძიებაში.” სიტყვით გამოსვლისას, გიორგი კვირიკაშვილმა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობაზე, ბიუროკრატიული დაბრკოლებების აღმოფხვრის აუცილებლობაზე, ბიზნესის მხარდამჭერ პროგრამებსა და ინოვაციური იდეების მქონე ახალგაზრდების წახალისების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ჩვენ დავუთმობთ მნიშვნელოვან რესურსებსა და ენერგიას ახალი ბიზნესების მხარდაჭერასა და ინოვაციური იდეების მქონე ახალგაზრდების წახალისებას და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ყოველივე ეს გაამლიერებს სამუალო ფენას და ქართველ ახალგაზრდებს უზრუნველყოფს სამუშაო ადგილებით,” - განაცხადა პრემიერმა.

აღნიშნული პროგრამა ეხმარება განვითარებად ქვეყნებს, რომ შეძლონ უპასუხონ იმ გამოწვევებსა და სტანდარტებს, რომელთაც დღეს განვითარებული სახელმწიფოები სხვადასხვა და მათ შორის ეკონომიკის სფეროში ადგენენ .

მონაწილეებს პროექტის განმავლობაში საშუალება ჰქონდათ პრაქტიკულად გამოეყენებინათ ის ცოდნა, რომელიც მათ საკუთარი პროფესიული საქმიანობიდან აქვთ შეძენილი. ისინი გაეცნენ სხვადასხვა ტიპის ეკონომიკურ შემთხვევებსა და საქმეებს, ანალიზის პროცესში დაისახეს სწორი სტრატეგიები, რის იმპლემენტაციასაც შემდგომ მათსავე საქმიანობაში შეძლებენ. ის სექტორები, საიდანაც აღნიშნული 15 კანდიდატია წარმოდგენილი, განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობასა და პროგრესს. ქვეყანაში სტაბილური ეკონომიკური ატმოსფეროს შექმნა და იმ ძირეული პრობლემების აღმოფხვრა, რომლის წინაშეც დღეს საქართველო დგას, უშუალო კავშირშია ამ ადამიანებთან, მათ კომპანიებთან თუ ფირმებთან.

თინათინ ქაროსანიძე, თავისუფალი უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის დეკანი და პროფესორი საერთაშორისო ურთიერთობების დარგში, აღნიშნავს, რომ პროექტი საქართველოში პირველად ტარდება და ნამდვილად ღირებული გამოცდილებაა.

„ის მოიცავს “ქეისების” ანალიზის ინტენსიურ კურსს, სადაც ხდება თეორიის ( პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება, საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობა, ლიდერობა და ასე შემდეგ) ანალიზი კონკრეტულ მაგალითებზე.

მონაწილეები საკუთარი სფეროების მიხედვით უყურებენ საკითხს, ახდენენ ანალიზს და სახავენ პრობლემის გადაჭრის გზებს. ამ სფეროში სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება საქართველოს მნიშვნელოვნად წაადგება, ამასთანავე ფრენსის ფუკუიამას და სხვა ძალიან წარმატებული პროფესორების მოსმენა, ძალიან კარგი და დიდი შანსია“, - აცხადებს ქაროსანიძე.

საქართველოს პრეზიდენტმა დემოკრატიის განვითარებისა და ეფექტიანი სახელმწიფო მართვის ჩამოყალიბებაში შეტანილი წვლილისათვის სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ფრენსის ფუკუიამა ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

პროექტის ფარგლებში ხუთი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სხვადასხვა სახის ლექციები, შეხვედრები და აქტივობები. პროგრამა, რომლის პარტნიორი ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტია 18 იანვარს დაიწყო და 22 იანვარს დასრულდა.

# ქართველი გენიოსის ნაჯღებად ცნობილი ისტორია ეროვნულ მუზეუმში

ნინი სინსაძე

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი უდიდესი ავიაკონსტრუქტორის ალექსანდრე ქართველისადმი მიძღვნილ გამოფენას, ,,ამერიკული ავიაციის ქართველი გენიოსი", მასპინძლობს. გამოფენა ავიაკონსტრუქტორის ასოციაციისა და ეროვნული მუზეუმის ორგანიზებით 2015 წლის 17 ნოემბერს გაიხსნა და 2016 წლის 1 მაისამდე გაგრძლედება.

გამოფენაზე წარმოდგენილია ამერიკულ და მსოფლიო ავიაციის ისტორიაში უდიდესი ნოვატორის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალები. მათ შორის: ესკიზები და ნახაზები, მისივე დიზაინით შქმნილი თვითმფრინავების მაკეტები, საარქივო მასალები, ფოტოები, ვიდეომასალები და სხვა.

ალექსანდრე ქართველი 1896 წლის 9 სექტემბერს თბილისში დაიბადა. ადრეულ ასაკში ბოლშევიკებისგან გაქცევის მიზნით, იგი დედასთან ერთად ემიგრაციაში გაემგზავრა. 1922 წელს მან დაამთავრა პარიზის ავიაციის უმაღლესი სკოლა. სწავლის პერიოდში მის მიერ შექმნილმა თვითმფრინავმა სიჩქარეში მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

1927 წელს ამერიკელმა მულტიმილიონერმა ჩარლზ ლევინმა ქართველიშვილი აშშ-ში, საავიაციო კომპანიაში სამუშაოდ მიიწვია. აქედან იწყება მისი მოღვაწეობა ამერიკულ ავიამშენებლობაში. მოგვიანებით იგი თავის სფეროში ერთ-ერთი პიონერი გახდა. ქართველი გენიოსის სახელს მიეწერება მსოფლიო ავიაციის ისტორიაში ხუთი ლეგენდარული თვითმფრინავის შექმნა, როგორებიცაა P-47, F-84, F-105, A-10 და სხვა.

„ობზერვერი" ქართველის ასოციაციის ერთ-ერთ დამფუძნებელს, ბატონ რამაზ ბლუაშვილს ესაუბრა. ის პირველი მკვლევარია, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა ქართველი ავიაკონსტრუქტორის ცხოვრება და მოღვაწეობა.

,,პირველი ვიყავი ვინც უფრო ღრმად გამოიკვლია მისი ცხოვრება და შემოქმედება. შევძელი შევსულიყავი NASA-ს არქივში, პენტაგონში, ასევე ურთიერთობა მქონდა ამერიკის სამხედრო საჰაერო ძალებთან იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად სააშკარაოზე გამომეტანა ამ უდიდესი პიროვნების შესახებ არსებული მანამდე უცნობი მასალები. მუშაობას დაახლოებით რვა წელი დასჭირდა, თუმცა ამ მასალების უმეტესობა დღეს ეროვნულ მუზეუმშია გამოფენილი და ეს ჩემთვის დიდი ბედნიერებაა",- აღნიშნა ბლუაშვილმა.

ალექსანდრე ქართველის მოღვაწეობა ე.წ. ,,ცივი ომის" პერიოდს დაემთხვა. რადგანაც საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველო საერთაშორისო ასპარზზე ნაკლებად ცნობილი იყო, ქართველი ავიაკონსტრუქტორი რუს პიროვნებად მიიჩნიეს.

ბლუაშვილის განმარტებით, სწორედ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ქვეყნიდან წარმომავლობის გამო, მისი ცხოვრება ნაკლებად შესამჩნევი იყო, რადგან ამერიკაში მას მუშაობა უწევდა ყველაზე გასაიდუმლოებულ პროექტებზე. მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრეს პიროვნებას არანაირი საეჭვო ფაქტები არ უკავშირდებოდა, ურთიერთობა ქართველიშვილთან ისეთი ადვილი არ იყო, როგორც სხვა მის კოლეგებთან, მაგალითად ლეგენდარულ ამერიკელ ავიაკონსტრუქტორ ქელი ჯონსონთან.

მოხდა ისე, რომ ,,ცივი ომის" დასრულების შემდეგ, როცა ე.წ. რკინის ფარდა ჩამოიხსნა და ბერლინის კედელიც დაინგრა, ქართველიშვილის ფიგურა ჩრდილში გადავიდა. თუმცა ამერიკულ ავიაციაში მის მიერ შექმნილი ხუთივე თვითმფრინავი დღემდე ლეგენდარულად ითვლება.

ალექსანდრე ქართველი აქტიურად იყო ჩართული NASA-ს პროექტებში. მას იცნობდნენ და აფასებდნენ, როგორც გამორჩეულ ავიაკონსტრუქტორსა და პროფესიონალს აეროდინამიკაში. "ქართველიშვილის ფიგურა ძალიან კარგად იყო ცნობილი NASA-ში. მე მაქვს არქივებში ლეგენდარული გენერალი ზუ ლიტლის მიერ ქართველიშვილისათვის მიწერილი წერილი, სადაც მადლობას უხდის მას სააგენტოს საქმიანობაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის და იმედოვნებს, რომ კვლავ გააგრძელებს მასთან თანამშრომლობას", - განაცხადა ბლუაშვილმა.

ავიაკონსტრუქტორი იყო, ერთ-ერთი პირველი, რომელმაც საუბარი დაიწყო მთვარეზე დაჯდომაზე და მიიღო კიდეც მონაწილეობა მთვარესთან დაკავშირებულ პროექტში NASA-სთან ერთად.

მკვლევარის ცნობით, ქართველიშვილის ურთიერთობა NASA-თან მხოლოდ თანამშრომლობით შემოიფარგლებოდა და ის არ იყო სააგენტოში უშუალო დასაქმებული. არსებობს საფუძვლიანი დოკუმენტები იმის შესახებ, რომ ლეგენდარული ,,სპეის შატლის" კუდის შექმნისას გარკვეულწილად გამოყენებული იყო ქართველიშვილის მიერ შექმნილი P-47 კუდის მოდიფიკაცია. P-47-ის მოდელი უძლებდა მაღალი სიჩქარით პიკირებას. ხოლო „სპეის შატლის" განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობდა, რომ მას შეეძლო არამარტო ორბიტაზე გასვლა, არამედ ორბიტიდან შემოსვლა, რომლისთვისაც ყველაზე მთავარი სტრუქტურული გამძლეობაა.

ეროვნული მუზეუმის გამოფენა მიზნად ისახავს პოლპულარიზაცია გაუწიოს და უკეთ გააცნოს საზოგადოებას ამერიკული ავიაციის ქართველი გენიოსი. ბლუაშვილი იმედოვნებს, რომ ალექსანდრე ქართველიშვილის ღვაწლი მომავალი თაობებისთვის ღირებული მაგალითი და შთაგონების წყარო გახდება.

DRC
დავების განმხილველი ცენტრი
DISPUTE RESOLUTION CENTER

DRC - the best Arbitration in Georgia

საქართველო, თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ.71, 1 სართული. ტელ: 2 207 327
Georgia, Tbilisi, Vaja Pshavela ave. 71, 1 Floor. Tel: 2 207 327

www.drc-arbitration.ge

# "სუხიშვილებმა" 70 წლისთავი საქველმოქმედო ბალეტ კონცერტით აღნიშნეს

თეა ლეჟიშვილი

ქართული ნაციონალური ბალეტის, „სუხიშვილების“ კონცერტმა თბილისში მოლოდინს გადააჭარბა. მთელი კვირის განმავლობაში ქართული ცეკვის მოყვარულები და ანსაბლის გულშემატკივრები ამ წარმოდგენას მოუთმენლად ელოდნენ. კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე სალაროებში ყველა ბილეთი გაიყიდა. მედიაში არაერთი რეპორტაჟი გაკეთდა, რომელიც წარმოდგენისთვის მოცეკვავეების მზადებას ასახავდა.

მოღვაწეობის 70-ე წელს ანსამბლი „სუხიშვილები“ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სცენაზე გამოვიდნენ. გამორჩეულად საინტერესო იყო ზაფხულის სეზონზე თბილისში გამართული გრანდიოზული კონცერტი, რომელშიც უცხოელი მოცეკვავეებიც მონაწილეობდნენ. მას შემდეგ კი, ნახევარწლიანი პაუზის შემდეგ, ნაციონალური ბალეტი კვლავ ქართველი მაყურებლის წინაშე წარსდგა.

წარმოდგენები, რომელიც 70 წლის იუბილეს ეძღვნებოდა, 19 იანვარს ქველმოქმედების მიზნით გაიმართა, ხოლო მაყურებელთა თხოვნით ღონისძიება 22 და 23 იანვარსაც გაგრძელდა. კონცერტზე 70 წლის განმავლობაში დადგმული საუკეთესო კომპოზიციები შესრულდა. წარმოდგენილი იყო 17 ცეკვა როგორც ძველი, ასევე ახალი პროგრამიდან. ანსამბლის მთავარ შემადგენლობასთან ერთად სცენაზე დებიუტანტი მოცეკვავეები, სუხიშვილების ახალი თაობაც გამოვიდა.

„სუხიშვილებს“ არაერთი საქველმოქმედო კონცერტი ჩაუტარებიათ, თუმცა ეს წარმოდგენა ეძღვნებოდა თავად ანსამბლის ვეტერან მოცეკვავეებს, რომელთაც შესაფერისი საცხოვრებელი პირობები არ გააჩნიათ. ღონისძიებიდან მიღებული თანხა მთლიანად მოცეკვავეებს გადაერიცხათ. წარმოდგენის დასრულებისთანავე დასის წევრებსა და მუსიკოსებს საჩუქრად 17 ბინა გადასცეს.

ეროვნული ბალეტის ერთ-ერთმა მოცეკვავემ, ცეკვა „ჯეირანის“ სოლისტმა ნუცი ბეჟაშვილმა „ობზერვერთან“ საუბარში აღნიშნა, რომ კონცერტი თითოეული მონაწილისათვის ნამდვილი ზეიმი იყო. „მე არ მახსენდება მსგავსი ქველმოქმედება არც ერთ ქვეყანაში. ეს ყველაფერი კი, ქალბატონი ნინოსა და ბატონი ილიკოს დამსახურებაა და, რაღა თქმა უნდა, სამშენებლო კომპანია „სვეტის“! მე კიდევ ერთხელ მინდა მივულოცო ჩემს მეგობრებს ეს უდიდესი ბედნიერება. მათ ეს ყველაფერი ნამდვილად დაიმსახურეს“, - განაცხადა მოცეკვავემ.

დასაჩუქრების ცერემონიის დაწყებამდე ილიკო სუხიშვილმა მაყურებელსა და დასის წევრებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ჩვენ ვართ ერთი დიდი ოჯახი და ჩვენ გვაქვს ჩვენი ტრადიციები, ყველაფერში ერთად ვართ, ერთმანეთს ვუგებთ და დღეს ჩვენ ლხინი გვაქვს. სიყვარული და გვერდით დგომა - ამ თვისებების გარეშე, დამერწმუნეთ, არც ერთი ცეკვა არ გამოვა. მინდა შევაქო ჩემი ანსამბლი, არასოდეს არ მითქვამს სახალხოდ, ეს ადამიანები არიან გმირები, მე ბედნიერი ვარ, რომ თქვენთან მუშაობა მომიწია“.

ბინის გადაცემის ცერემონიალი 22 იანვარს კონცერტის დასრულების შემდეგაც გაგრძელდა.

საქველმოქმედო ღონისძიების დასასრული როგორც მაყურებლისთვის, ასევე მოცეკვავეებისთვისაც ამაღელვებელი და გულისამაჩუყებელი იყო. წარმოდგენის დამთავრებისთანავე იგრძნობოდა, რომ არა მხოლოდ ანსამბლის თითოეული წევრი ქმნიდა ერთ ოჯახს, არამედ მათ რიცხვს დარბაზში მყოფი მაყურებელიც უერთდებოდა. დამსწრე საზოგადოება ბედნიერი და საამაყო წუთების თანაზიარი გახდა, რომლებიც მათ მეხსიერებაში კიდევ დიდი ხნის განმავლობაში დარჩება. დადებითი ემოციებით დატვირთული ადამიანები ფეხზე წამოუდგნენ მთელ დასს და აპლოდისმენტებით აჯილდოებდნენ.

არაერთი ღონისძიების თვალზე შეამჩნევდით ცრემლებს, რომლებიც ქართული კულტურით გამოწვეული სიამაყის, სიხარულისა და ბედნიერების ნიშანი იყო.

„სუხიშვილების“ საქველმოქმედო კონცერტმა, ერთი მხრივ, აჩვენა, რომ ნაციონალური ბალეტი არის ის, რითაც ამაყობს ქართველი ერი, მეორე მხრივ კი, მნიშვნელოვანი პოპულარიზაცია გაუწია საქველმოქმედო ღონისძიებების ჩატარებას. ეროვნული ბალეტის მოცეკვავეები კიდევ არაერთ ღონისძიებას გამართავენ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ძალიან მალე ანსაბლი ორთვიან ტურნეში გასტროლებზე მიემგზავრება.

# ნახმოდგენა ბიმისა და დეპოსიტის გახეშე – მარჯანიშვილის თეატრი მონო-სპექტაკლებს მასპინძლობს

ნინი მაჭავარიანი EXCLUSIVE

პირველად საქართველოში პროექტი „ცოცხალი წიგნები“ კოტე მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე წარსდგება. პროექტი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მიერ ერთობლივად ხორციელდება. 1-ელ თებერვალს მონო-სპექტაკლის სადებიუტო დღე ლია ლიქოკელის საღამოთი გაიხსნება. მთელი წლის განმავლობაში, თვის ყოველ მესამე ორშაბათს, 20:00 საათზე, მარჯანიშვილის თეატრის სარდაფის სცენა „ცოცხალი წიგნების“ მონაწილე მწერლებს დაეთმობა, რომლებიც საკუთარ თავს საზოგადოებას მონო-სპექტაკლების მეშვეობით გააცნობენ.

“ვფიქრობ, რომ ეს პროექტი ბევრს გაახარებს. მაგალითად, მე მიყვარს ავტორების მოსმენა ცოცხლად, მიყვარს, როცა ისინი კითხულობენ საკუთარ ტექსტებს, მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ ძნელად ისმინება ტექსტი ასე და უმჯობესია, თავად წაიკითხო. რაღაც სხვა ხიბლი აქვს ავტორის ხმას. მონოსპექტაკლი კი ალბათ პირობითი ნათქვამია. ჩემი საღამო იქნება უბრალოდ ცოცხალი მკითხველის წინ დგომა და მოყოლა, რა ვარ მე. ანუ უბრალოდ წავიკითხავ იმას, რასაც ვწერ, და ვწერ იმას, რაც, ვინც ვარ მე. ამაზე უკეთ ვერაფრით ვაჩვენებ თავს მკითხველს თუ მაყურებელს. მესიჯიც არ მექნება მაყურებლისთვის - არასოდეს მაქვს არავითარი მესიჯი, მირჩევნია, ყველამ თვითონ გადაწყვიტოს, რა ჭირდება ჩემი ტექსტიდან, რა არის მისთვის საინტერესო”,-აღნიშნავს ლია ლიქოკელი.

ორგანიზატორის თქმით პროექტი განვითარებასა და განახლებას საჭიროებდა, სწორედ ამ დროს დაიბადა იდეა, რომ ის მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე გაგრძელებულიყო. წინა პროგრამაში 75 მწერალი იღებდა მონაწილეობას, იყვნენ მწერლის მეგობრის სტატუსის მქონე ხელოვანებიც, რომლებიც ძირითად ჯგუფს მოხალისეებად დაჰყვებოდნენ. რეგიონებში მოგზაურობის პერიოდში თითოეული ხელოვანი ჩანაწერებსაც აწარმოებდა, რაც ერთ წიგნად სახელწოდებით „დღიური“ აიკინძა და ძალიან მალე მისი პრეზენტაციაც შედგება.

„პროექტი გასულ წელს აპრილში დაიწყო და ოქტომბრის ბოლომდე გაგრძელდა. ჩვენ თითქმის მთელი საქართველო შემოვიარეთ, სოფელ-სოფელ დავდიოდით და ვკითხულობდით ლექსებს, მოთხრობებს. როდესაც პროექტი დასრულდა გადავწყვიტეთ, რომ არ უნდა გავჩერებულიყავით, ამიტომ ჯარისკაცებთან სამხედრო ნაწილში და პატიმრებთან ციხეში მივედით. შარშან წლის საუკეთესო პროექტის ჯილდო თავად მწერლებისგან მივიღეთ “, - აღნიშნა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ ქეთი დუმბაძემ „ობზერვერთან“ ინტერვიუში.

საქართველოს ყველა რეგიონში მაყურებლები ხელოვანებს დიდი სიყვარულითა და სითბოთი ხვდებოდნენ, ჩანდა, რომ ლიტერატურის მოყვარულები ასეთი ტიპის წარმოდგენების დიდ დანაკლისს განიცდიან. პროექტის მონაწილეებმა რამდენიმე ადგილობრივი ახალგაზრდა მწერალიც გაიცნეს, პროფესიული რჩევები მისცეს და დღემდე აგრძელებენ ურთიერთობას.

წელს მწერლების სრული როტაცია მოხდა. შარშანდელ მონაწილეებს ახალი სახეები შეცვლიან. ორგანიზატორები გეგმავენ, რომ პროექტს უფრო მასშტაბური სახე შესძინონ, უფრო მეტ რეგიონსა და სოფელში ჩავიდნენ და საზოგადოების დიდ ნაწილს შემოქმედება გაუზიარონ. „ცოცხალი წიგნების“ პროექტში დებიუტანტი მწერლებიც ჩაერთნენ, სწორედ მათ პოპულარიზაციას ემსახურება თეატრის სცენაზე მონო-სპექტაკლების დადგმა.

„ძალიან საინტერესო წელიწადი იქნება, რადგან ბევრ ახალ მწერალს გაიცნობს ჩვენი მაყურებელი. ჩვენი მთავარი მიზანია საზოგადოება ეზიაროს ახალ შემოქმედებას“, - აღნიშნა ქეთი დუმბაძემ.

„ცოცხალი წიგნების“ პროექტში მონაწილე თითოეულ ხელოვანს სცენაზე 1:20 წუთი დაეთმობა თავისი შემოქმედების წარმოსაჩენად. შესაძლებელი იქნება კითხვა-პასუხის რეჟიმში გადასვლა. ორგანიზატორების თქმით, მთავარია შედგეს ცოხალი კონტაქტი უშუალოდ მაყურებელსა და ხელოვანს შორის. თეატრის სცენაზე წინასწარ განსაზღვრულ მოქმედებას ადგილი არ ექნება, რადგან ყველაფერი პოეტებისა და მწერლების ფანტაზიაზე იქნება დამოკიდებული. მონო-სპეტაკლი ეს არის სანახაობა ნიღბის, გრიმისა და დეკორაციის გარეშე. ორგანიზატორებს მიაჩნიათ, რომ ეს პროექტი წარმატებული გახდება, ვინაიდან ვერცერთი მსახიობი ვერ წარმოაჩენს ლექსსა თუ მოთხრობას ისე, როგორც ამას თავად ავტორი გააკეთებს.

პროექტის იდეის ავტორი ქეთი დუმბაძეა. „როდესაც ვფიქრობდით როგორი სახე შეიძლებოდა მისცემოდა ამ პროექტს, მახსოვს სახლში დავდიოდი ოთახიდან ოთახში, იქ სადაც მამა იჯდა ხოლმე... ჩვენს სახლში ჩემი ყველა საყვარელი წიგნი ცოცხლდებოდა, იმიტომ, რომ იმ დროის ყველა მწერალსა და პოეტს ჩემს გარშემო ვხედავდი სწორედ ამ დროს მომაფიქრდა რომ პროექტისთვის „ცოცხალი წიგნები“ დამერქმია“,- ამბობს კულტურის მინისტრის მოადგილე.

აღსანიშნავია, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ლიტერატურული პროექტი „ცოცხალი წიგნები“ 2015 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის ჯილდოს „წლის საუკეთესო მოვლენა ლიტერატურის დარგში“ მფლობელი გახდა. განახლებული პროგრამა კი, ლიტერატურის მოყვარულებს ბევრ საინტერესო სიახლესა და საინტერესო საღამოებს ჰპირდება.

# საზღვარგარეთ სწავლის მსურველი სტუდენტებისთვის სახელმწიფო დაფინანსება იზრდება

ბუხანდა ძამეღაშვილი

საფრანგეთში სწავლის მსურველი სტუდენტებისთვის „განათლების საერთაშორისო ცენტრი“ დამატებით ახალ კონკურსს აცხადებს. „სამაგისტრო პროგრამა საფრანგეთში 2016–2017„ მეშვეობით, ოცამდე სტუდენტი შეძლებს სწავლა საფრაგეთში, სამაგისტრო პროგრამებზე, საქართველოსა და საფრანგეთის მთავრობების ერთობლივი დაფინანსებით გააგრძელოს.

დაფინანსების მიღების მსურველებმა რეგისტრაციის ფორმა ცენტრის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსებული ელექტრონული სარეგისტრაციო ფორმის მეშვეობით 11 თებერვლამდე უნდა შეავსონ. კონკურსის საბოლოო შედეგები 2016 წლის 11 მარტამდე გახდება ცნობილი. პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული პრიორიტეტული სპეციალობებია: აგრარული მეცნიერებანი, განათლება, ინჟინერია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები, სამართალი, არქიტექტურა, საჯარო მმართველობა და მენეჯმენტი. ცენტრის ვებ–გვერდის მიხედვით, საკონკურსო განაცხადების განხილვისას მხედველობაში მიღებული იქნება სოციალურად დაუცველის, შეზღუდული შესაძლებლობებისა და იძულებით გადაადგილებული პირთა სტატუსის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

„პირველად მოხდა საქართველოსა და საფრანგეთის სახელმწიფოების ისტორიაში როდესაც სასტიპენდიო პროგრამებზე კონტრაქტი დაიდო”, – ამბობს „განათლების საერთაშორისო ცენტრის“ ხელმძღვანელი ნინო ჭელიძე. მისი თქმით, თანამშრომლობა საფრანგეთთან მხოლოდ დანამატია იმ პროგრამისა, რომელიც აქამდე ხორციელდებოდა.

პროგრამამ, რომელიც 2014 წლიდან პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის ინიციატივით ამოქმედდა, ცენტრის ვებ–გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით, 2014 წელს – 77, ხოლო 2015 წელს - 115 სტუდენტი სრულად თუ ნაწილობრივად დააფინანსა. ჯერჯერობით უცნობია ზუსტად რამდენი სტუდენტი მიიღებს დაფინანსებას 2016 წლის განმავლობაში, რადგან საერთო პროგრამაზე რეგისტრაცია სტუდენტებისთვის გაზაფხულზე დაიწყება. როგორც „ობზერვერთან“ საუბარში ნინო ჭელიძემ აღნიშნა წელს სტიპენდიანტთა რიცხვი სავარაუდოდ გაიზრდება. „რაც შეეხება ახალ პროგრამებს, ჩვენ ვცდილობთ ხელშეკრულება გავაფორმოთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან და გერმანიასთან, ეს ალბათ უკვე სექტემბრიდან დაიწყება“, - აცხადებს ჭელიძე.

არსებული პროგრამის თავისებურება, იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტსა და ცენტრს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც სწავლის დასრულების შემდეგ სტუდენტი აუცილებლად უნდა დაბრუნდეს საქართველოში და საჯარო სამსახურში 3 წლის განმავლობაში დასაქმდეს. ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტმა მიღებული გრანტი უკან უნდა დააბრუნოს .

ჭელიძის ინფორმაციით, ამ ეტაპზე დასაქმებულია 13 კურსდამთავრებული. ისეთ შემთხვევას კი, როდესაც სტიპენდიანტმა ხელშეკრულება დაარღვია ჯერ ადგილი არ ჰქონია.

სტიპენდიის თავისებურებამ-დასაქმების საკითხმა სტუდენტების ნაწილი დააფრთხო, რადგან ზოგიერთს საჯარო სექტორში დასაქმება არ სურს, მეორე ნაწილს კი, იმედი არ აქვს, რომ საქართველოში დაბრუნებული მალევე შეძლებს მუშაობის დაწყებას.

დასაქმების საკითხი ეჭვებს ბადებს სხვა კუთხითაც, რამდენად თანაბარ მდგომარეობაში აყენებს აღნიშნული მიდგომა სამუშაოს მაძიებელ ახალგაზრდებს, როცა ცენტრის მიერ დაფინანსებულ სტუდენტებს გაურკვეველი მიზეზით პრიორიტეტი ენიჭება. აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთ სხვადასხვა ფონდების თუ პირადი დაფინანსების საფუძველზე ყოველწლიურად ასობით ქართველი სტუდენტები იღებს განათლებას.

სალომე ფაჩუაშვილი „განათლების საერთაშორი ცენტრის“

ერთ–ერთი სტიპენდიანტია, რომელიც წინა წელს დიდ ბრიტანეთში, ლესტერის უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ის საქართველოში სექტემბერში გეგმავს დაბრუნებას. ზუსტად არ იცის ჩამოსვლის შემთხვევაში სად დასაქმდება, თუმცა მიესალმება საჯარო სამსახურში მუშაობის ინიციატივას. „მე ვფიქრობ, რომ სწორი ინიციატივაა, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ სტუდენტს, ბუნებრივია, გარკვეული ვალდებულებები გააჩნია ქვეყნის წინაშე. ჩემს კურსზე სწავლობენ სტუდენტები მაგალითად, კოლუმბიიდან, რომელთაც მსგავსი გრანტი აქვთ, მაგრამ სახელმწიფო უკან დაბრუნების ნაცვლად თანხის ნახევრის დაბრუნებას სთხოვს ეტაპობრივად. ჩემი აზრით, ჩვენთან ბევრად უკეთესი გამოსავალი მოინახა“, - ამბობს სალომე.

რაც შეეხება გრანტს, ფაჩუაშვილმა ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში სრული დაფინანსება მოიპოვა. „სახელმწიფო სწავლის გადასახადს სრულად და ამასთან ერთად საცხოვრებელ ხარჯებსაც (სულ 25 000 £) მინაზღაურებს“, - აცხადებს სტუდენტი.

მარიამ ცანავა კავკასიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. ის „განათლების საერთაშორისო ცენტრის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღებასა და საზღვარგარეთ სწავლას მენეჯმენტის ან ჰუმანიტარული მიმართულებით გეგმავს. მისთვის მისაღებია არსებული ინიციატივა სტუდენტის საჯარო სამსახურში დასაქმების შესახებ. „ძალიან კარგია, როცა იცი, ჩამოხვალ და დასაქმდები“,— ამბობს ის, თუმცა ყველაზე მეტად ცენტრის მიერ, მისთვის სასურველ პროგრამებზე გრანტის გამოყოფის საკითხი აინტერესებს.

„განათლების საერთაშორისო ცენტრის“ პირობების მიხედვით, დაფინანსების მოპოვების მსურველმა სტუდენტებმა საერთო პროგრამის ფარგლებში უნდა მიუთითონ მათთვის საჭირო თანხის რაოდენობა. სტიპენდიის მოცულობას განსაზღვრავს სპეციალურად შექმნილი კომისია არსებული მემორანდუმისა და საკანონმდებლო რეგულირების გათვალისწინებით. თუმცა საფრანგეთთან დადებული მემორანდუმის შემთხვევაში, დაფინანსების საკითხი განსხვავებულია.

„განათლების ცენტრი“ როგორც სასწავლო, ასევე საყოფაცხოვრებო ხარჯებსაც ანაზღაურებს. საერთო პროგრამის შემთხვევაში ლიმიტი დაწესებული არ არის და სტუდენტი თანხას საჭიროებისამებრ უთითებს. შესაბამისად, აპლიკანტის სრულ ან ნაწილობრივ დაფინანსებაზე გადაწყვეტილებას იღებს კომისია.

ზოგადი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში, რომლებიც გაზაფხულზე გამოცხადდება ცენტრი აფინანსებს როგორც ერთწლიან, ასევე ორწლიან პროგრამებს. საფრანგეთთან 1-ელ დეკემბერს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში კი, მხოლოდ ერთი უწყვეტი აკადემიური წლის, ერთი პროგრამის დაფინანსებაა შესაძლებელი. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი სტიპენდიას ვერ მოიპოვებს, ის კომისიისგან შესაბამის განმარტებას მიიღებს.

პროგრამის ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს ცენტრის აუცილებელი მოთხოვნა ბაკალავრის დიპლომის თაობაზე. აპლიკაციის პერიოდში, რომელიც გაზაფხულზე მიმდინარეობს, სტუდენტს უკვე უნდა ჰქონდეს ბაკალავრის დამადასტურებელი მოწმობა, როცა საზღვარგარეთ განათლების მიღების მსურველებს ბაკალავრიატის ბოლო კურსიდანვე შეუძლიათ მიიღონ უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტებიდან მოწვევა. წამყვანი უცხოური ფონდებისგან განსხვავებით, ცენტრი უპირობო ჩარიცხვის წერილს ითხოვს.

გარდა ამისა, ცენტრის მოთხოვნებში შედის ერთწლიან გამოცდილებაც, რაც მორიგ დამატებით პრობლემას ქმნის, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სტაჟირება სამუშაო გამოცდილებად არ ითვლება. ბაკალავრიატის დამთავრებისთანავე კი სამუშაოს მოძებნა საქართველოში არც ისე ადვილია.

ცენტრის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ შესაძლოა ახალ საკონკურსო პროგრამაში, რომელიც მარტიდან გამოცხადდება, ცვლილებები შევიდეს და ასევე შეიცვალოს პრიორიტეტული აკადემიური მიმართულებებიც. „განათლების საერთაშორისო ცენტრი“ კონკურსის დამთავრებამდე მთელი ქვეყნის მასშტაბით სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრებს 10 თებერვლამდე გამართავს.

# ჰობოჰ შესვალ ქართველი სტუდენტის სხოვრება ERASMUS+-ის პროგრამამ

ნინი მაჭავარიანი

ქართველი ახალგაზრდა, 25 წლის პროფესიით ჟურნალისტი და კომუნიკაციების ოფიცერი, ნინო ხუსკივაძე საზღვარგარეთ ERASMUS+-ის დაფინანსებით სამაგისტრო პროგრამაზე სწავლობდა. უცხოური პროგრამები, საზღვარგარეთ მიღებული ცოდნა, გამოცდილება და შთაბეჭდილებები - ეს ის თემებია რაზეც ნინო „ობზერვერს“ ესაუბრა.

**სად, რა პროგრამით და რომელ ქვეყანაში იყავი წასული სასწავლებლად?**

თავგადასავლების მოყვარული ადამიანი ვარ, ყოველთვის მიზიდავდა ახალი ნაცნობების შეძენა და უცხო კულტურასთან ურთიერთობა, სწორედ ამ მიზნით გადავწყვიტე, რომ ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ, აუცილებლად გამეგრძელებინა სწავლა საქართველოს საზღვრებს გარეთ.

ბაკალავრიატის მეოთხე კურსიდან დავიწყე ფიქრი მაგისტრატურაზე თუ სად, რა ფაკულტეტზე და რომელ უნივერსიტეტში გამეგრძელებინა სწავლა. მივმართე ერთ-ერთ დაწესებულება ELL-ს, რომელმაც ამ საქმესთან დაკავშირებულით კონსულტაცია გამიწია და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დამეხმარა. მათ მირჩიეს ვილნიუსის უნივერსიტეტი, ერთ-ერთი უდიდესი ისტორიისა და კულტურის მქონე უნივერსიტეტი აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც მაგისტრატურის კურსი წელიწად ნახევარში გავიარე. იქ ყოფნის პერიოდში ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე და უამრავი მეგობარიც შევიძინე.

**რა ისწავლე იმ დროის განმავლობაში?**

პირველ რიგში, ვფიქრობ ჩემი საქმის პროფესიონალი გავხდი. გარდა იმისა, რომ იქ არიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესორები და განსხვავებული გარემო, სისტემა ყველნაირად სტუდენტზეა მორგებული, მთავარია ამის სწორედ გამოყენება შეძლო და კარგი განათლებამიიღო. ვილნიუსის უნივერსიტეტმა ძალიან კარგი როგორც თეორიული განათლება, ასევე პრაქტიკული გამოცდილებაც მომცა. სრულიად უცხო გარემოში, სახლიდან შორს ვიყავი და ამ ყველაფერმა ხელი შემიწყო, რომ არა მარტო პროფესიულად, არამედ პიროვნულადაც გავზრდილიყავი.

**რა პერსპექტივა შეგძინა ვილნიუსის უნივერსიტეტში სწავლამ ?**

იმედი მაქვს იმის შესაძლებლობა მომცა, რომ მეტი დამსაქმებელი დაინტერესდეს ჩემით.

**როგორია სწავლის დონე და რატომ ურჩევდი ქართველ ახალგაზრდებს იქ წასვლას?**

ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით ძალიან მაღალ დონეზეა, თუნდაც ბიბლიოთეკა, რომელიც 24 საათის განმავლობაში მუშაობს, ასევე წვდომა აქვთ უახლეს გამოცემულ წიგნებზე და ყველა იმ საჭირო მასალაზე, რაც კი შეიძლება დაგჭირდეს. უნივერსიტეტში ყველანაირ პირობა და შესაძლებლობაა იმისთვის შექმნილი, რომ ისწავლო. პირველივე დღიდან ძალიან მეგობრული გარემო და ატმოსფერო დამხვდა, ამავდროულად იგრძნობა დისციპლინა. მაგალითად, რასაც წერ და აკეთებ, არ აქვს მნიშვნელობაეს კვლევა თუ ესსე იქნება აუცილებლად დაფუძნებული უნდა იყოს შენს აზრსა და ლოგიკაზე. გაჩვევენ დამოუკიდებელ მუშაობას და ანალიტიკურ აზროვნებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ნაშრომში ერთ ფრაზას ვერ გამოიყენებ ინტერნეტიდან, რადგან ამას სპეციალური პროგრამა ამოწმებს და პირდაპირ აწითლებს წინადადებას, რომელიც ავტორის მითითების გარეშე გაქვს მიწერილი. რა თქმა უნდა, რთული იყო მკაცრ რეჟიმსი სწავლა, თუმცა შეუძლებელი ნამდვილად არ იყო.

**რატომ გადაწყვიტე საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა?**

ყოველთვის მინდოდა, რომ გამომეცადა ჩემი თავი საქართველოს ფარგლებს გარეთ. საზღვარგარეთ სწავლა შესაძლებლობას გაძლევს, ერთდროულად სხვადასხვა კულტურისა და ეროვნების ადამიანი გაიცნო. მაგალითად: ვილნიუსის უნივერსიტეტში „ერაზმუსის“ პროგრამით ჩამოსული ძალიან ბევრი უცხოელი სტუდენტი იყო. ბევრი მეგობარი შევიძინე.

**როგორ დაახასიათებდი სასწავლო პროცესს?**

ძირითადად პრაქტიკული სამუშაო გვქონდა, რაც ძალიან მომწონდა. ვახდენდი მიღებული ცოდნის რეალიზაციას. მაგალითად, ძალიან ხშირად გვქონდა „ვორქშოპები“ ცნობილ სკანდინავიურ ბანკებში, უშუალოდ ვიყავით ჩართულები სამუშაო პროცესში.

**როგორი გარემო დაგხვდა ვილნიუსში?**

აქამდე მსმენოდა სტერეოტიპის შესახებ, რომ ვილნიუსში ცივი ხალხი ცხოვრობს და ამიტომ რაღაც დონეზე ამ სტერეოტიპმა გავლენა მოახდინა ჩემზე თუმცა პირიქით აღმოჩნდა, იქ სტუმართმოყვარე და კეთილგანწყობილი საზოგადოებაა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ტემპერატურა -25 გრადუსამდე ეცემა, ეს მათ ხასიათზე არ აისახება.

**ადაპტაციის პირველ პერიოდში რა პრობლემებს წააწყდი?**

ადაპტაციისთვის დრო არც მქონდა, მეჩვენებოდა, რომ იქ დაჩქარებული ტემპი იყო და ერთი დღის განმავლობაშიბევრი რამ უნდა მომესწრო. ყველაფერს აქვს გაწერილი გრაფიკი, როდესაც გეუბნებიან, რომ შაბათს 12:00 საათზე კონკრეტული მასალა მზად უნდა გქონდეს, ეს ნიშნავს ზუსტად დანიშნულ დროს და არც ერთი წუთით გვიან.

მინდა აღვნიშნო, რომ კულტურული შოკი საერთოდ არ მქონია, რადგან ყველაფერი კარგად ორგანიზებული იყო. გყვავდა მენტორი, რომლისთვისაც დახმარების მიზნით ნებისმიერ დროს შემეძლო მიმემართა.

**როგორ შეიცვალა შენი ცხოვრება ვილნიუსიდან დაბრუნების შემდეგ?**

პროფესიულად და პიროვნულად ძალიან გავიზარდე, რასაც ახლობლებიც მეუბნებიან. განათლების თვალსაზრისით მიმაჩნია, რომ ამ უნივერსიტეტმა ძალიან ბევრი რამ მომცა. რაც ყველაზე მნიშვნლოვანია, ჩემს მიმართ დამსაქმებლების ინტერესი გაიზარდა.

**ვილნიუსის უნივერსიტეტში მოსახვედრად რა კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს სტუდენტი?**

პირველ რიგში, მნიშვნელობა ბაკალავრიატის ქულებსა და ინგლისური ენის ცოდნის დონეს ენიჭება. ეს არის ორი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი. ვისაც უნდა საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება, აუცილებლად უნდა გადადგას ეს ნაბიჯი. სამწუხაროდ, ფინანსური თვალსაზრისით, ეს ყველასთვის ხელმისაწვდმი არ არის, მაგრამ ვიცი, რომ საქართველში რამდენიმე სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტებს საშუალებას აძლევს დაფინანსებით ისწავლოს საზღვარგარეთ ერთი სემესტრის განმავლობაში. შესაბამისად, ყველაფერი მონდომებაზეა დამოკიდებული.

**ახლა სამუშაოდ ERASMUS+ პროგრამით აპირებ წასვლას, მოგვიყევი ამის შესახებ**

ამჟამად თურქეთში მივდივარ EVS-ის ორთვიანი პროგრამით. იქ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც უნარშეზღუდული ადამიანების პრობლემებს აგვარებს, პიარის განყოფილებაში ჩემი პროფესიით ვიმუშავებ. ამ პროგრამის შესახებ ინფორმაცია თავად მოვიძიე, დამოუკიდებლად გავაგზავნე სამოტივაციო წერილი და რეზიუმე. არ ვიცი შერჩევის პროცესში რამდენად გაითვალისწინეს ჩემი საზღვარგარეთ მიღებული სწავლა და გამოცდილება, თუმცა ალბათ ესეც იყო ერთ-ერთი უპირატესობა. როგორც ვიცი, 18-დან 30 წლამდე ნებისმიერ მოხალისეს საშუალება აქვს ამ პროგრმაში ჩაერთოს. ეს არის 12 თვიანი პროგრამა, რომელიც შეგიძლია ერთიანად გამოიყენო ან რამდენიმე თვეზე გადაანაწილო და სხვადასხვა ადგილას წახვიდე სამუშაოდ და გამოცდილების მისაღებად.

**რას გეგმავ უახლოეს მომავალში?**

ერთი წელიც არ არის გასული, რაც ვილნიუსიდან ჩამოვედი, ახლა თურქეთში მივდივარ. როდესაც საქართველოში დავბრუნდები, იმედი მაქვს, რომ ჩემი პროფესიით მუშაობას დავიწყებ და საზღვარგარეთ მიღებულ ცოდნას სამშობლოში გამოვიყენებ. სხვა შემთხვევაში ალბათ ისევ წავალ, თუმცა საბოლოოდსაქართველოში ჩამოსვლასდააქცხოვრებასვაპირებ.

**რას ურჩევდი ახალგაზრდებს, რომელთაც საზღვარგარეთ უნდათ სწავლა ან მუშაობა?**

მახსოვს ერთ-ერთი ჩემი ლექტორი გვეუბნებოდა, რომ ქართველები არც არავისზე მეტნი ვართ და არც არავისზე ნაკლები.

ეს აუცილებლად უნდა გავიზიაროთ და გვახსოვდეს, რომ არც ერთი წუთით არ დააყოვნოთ, თუ საზღვარგარეთ სწავლა გინდათ ეს ნაბიჯი აუცილებლად გადადგით .

Erasmus+

airBaltic

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| RIGA - TBILISI | BT 722 5,7 RIX TBS | 23:05 | 04:35 | +1 | 735 | 03:30 |
| TBILISI - RIGA | BT 723 1,6 TBS RIX | 05:20 | 06:55 | | 735 | 03:55 |

airBaltic flights from Tbilisi via Riga to Oslo, Helsinki, Copenhagen, Amsterdam, London, Milan, Paris, Berlin, Munich, Vilnius, Tallinn and Warsaw have minimum connection time 25-30 minutes in Riga airport

# ზაზა ფაჩულია: "ყველა ვარსკვლავის" მატჩში მონაწილეობაზე უფრო მეტი თქვენი სიყვარულია

ვახო ყიფიანი

#NBAavote Zaza Pachulia - ამ სტატუსით მთელი საქართველო ერთ თვეზე მეტი ცოცხლობდა და თავიდანვე უფრო მეტი ინფორმაცია რომ გვქონოდა, ზაზა ახლა ალბათ „ყველა ვარსკვლავის“ მატჩის სასტარტო სამეულშიც იქნებოდა.

ხალხის მიერ არჩეული „ყველა ვარსკვლავის“ მატჩის სასტარტო ხუთეული 22 იანვარს გამოქვეყნდა. ზაზა ფაჩულიას მესამე ადგილის დასაკავებლად 14 228 ხმა დააკლდა და მეოთხე ადგილზე გავიდა. ქართველი კაპიტანი ისეთ კალათბურთელებს ჩამორჩა როგორებიც არიან: კალათბურთის მეფე და NBA-ის პატარა ეპოქის შემქმნელი კობი ბრაიანტი, ,,ოკლაჰომას'' ლიდერი კევინ დურანტი და კავაი ლეონარდი, რომლის შეჩერება ლებრონ ჯეიმსსაც ძალიან უჭირს. სამაგიეროდ, გაუსწრო ცნობილ კალათბურთელებს: დრეიმონდ გრინს, ბლეიკ გრიფინს, ენეს კარტერს, ტიმ დანკანსა და დე მარკუს კაზენსენს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა და ,,დალას მავერიკსის'' ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ შედეგების გამოქვეყნების შემდეგ საკუთარ გვერდზე სტატუსი გამოაქვეყნა: „ძალიან დიდი მადლობა ყველას განურჩევლად, ასეთი დაფასებისთვის და თანადგომისთვის, ეს დღეები ყველაზე დასამახსოვრებელი იქნება ჩემს ცხოვრებაში. "ყველა ვარსკვლავის" თამაშზე მოხვედრაზე უფრო მეტი, თქვენი სიყვარული და მხარდაჭერაა. ძალა ერთობაშია.“

შანსი, იმისა რომ ზაზამ „ყველა ვარსკვლავის“ მატჩი ითამაშოს ჯერ კიდევ არსებობს, თუმცა ეს უკვე მწვრთნელის გადასაწყვეტია. ის სიით პირველი სარეზერვოა და დასავლეთ კონფერენციის ფორვარდთა სამეულიდან ერთის გამოკლების შემთხვევაში, შეიძლება თამაშშიც ჩაერთოს. ტრავმირებული სტარტერის შეცვლის პრეროგატივა NBA-ს კომისიონერს აქვს, რომელიც ხშირად ითვალისწინებს ხმის მიცემის შედეგებს.

სასტარტო ხუთეული კალათბურთის მოყვარულებმა შეარჩიეს, დანარჩენი მონაწილეების შერჩევის უფლება კი ასოციაციის 30 მწვრთნელს აქვს. ისინი (თავიანთ კონფერენციაში) ირჩევენ 7-7 კალათბურთელს: 2 - მცველს, 3 - ფორვარდს და 2-კალათბურთელს პოზიციის გარეშე.

“ყველა ვარსკვლავის” თამაში შოუს ელემენტებით არის დატვირთული, თამაში საინტერესო იქნება და მწვრთნელებზეც ბევრი რამაა დამოკიდებული. სარეზერვო კალათბურთელებს TNT-ზე 28 იანვარს დაასახელებენ, საქართველოს დროით შედეგები კი 29 იანვარს, დილით 4 საათზე გამოქვეყნდება.

# სპორტული სიახლეები

## რაგბი

ბრწყინვალე ფორმაშია საქართველოს ნაკრების შუამარბი დავით კაჭარავა. “ჩელენჯ კაპის” გათამაშებაში მისმა “ენისეიმ” შინ დაამარცხა ინგლისური “ნიუკასლი” 24:7. ორი ლელო კაჭარავას ანგარიშზეა. ეს კაჭარავას გუნდის მეორე გამარჯვებაა, თუმცა ,,ენისეი'' მაინც ბოლო ადგილზეა.

* * * *

საქართველოს ნაკრების მორაგბე ვიქტორ კოლელიშვილი ჩემპიონთა თასის V ტურში დასაჯეს. ვიტომ “ოსპრისი” - “კლერმონის” შეხვედრაში ჯერ მსაჯი მოიშორა ხელის კვრით, შემდეგ კი მეტოქეს სცემა.

## წყალბურთი

საქართველოს ვაჟ წყალბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა მე-14 ადგილზე დაასრულა. 22 იანვარს, სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში მიმდინარე ტურნირში ბოლო მატჩი ქართველმა წყალბურთელებმა სლოვაკეთთან გამართეს და ანგარიშით 9:10 დამარცხდნენ.

## კალათბურთი

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მატჩების კალენდარი ევრობასკეტ 2017-ის შესარჩევ ტურნირში ცნობილია. ჩვენი ნაკრები პირველ შეხვედრას შინ 2016 წლის 31 აგვისტოს ალბანეთთან გამართავს, შემდეგ კი დარჩენილ 5 მატჩს სექტემბერში ჩაატარებს.

31 აგვისტო
საქართველო - ალბანეთი
3 სექტემბერი
სლოვაკეთი - საქართველო
7 სექტემბერი
საქართველო - მონტენეგრო
10 სექტემბერი
ალბანეთი - საქართველო
14 სექტემბერი
საქართველო - სლოვაკეთი
17 სექტემბერი
მონტენეგრო-საქართველო

## ფეხბურთი

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის 2015/16 წლების სეზონი 19 თებერვალს, XVI ტურის მატჩებით განახლდება. დავით ყიფიანის სახელობის თასის ნახევარფინალური ეტაპის წილისყრა 17 თებერვალს შედგება. მიმდინარე სეზონში საქართველოს თასისთვის “დინამო თბილისი”, “ვიტ ჯორჯია”, “სიონი” და “ჩიხურა” გააგრძელებენ ბრძოლას. ნახევარფინალური ეტაპის მატჩები 20 აპრილს და 5 მაისს ჩატარდება, ფინალი კი - 18 მაისს შედგება. ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის XVI ტურის ყველა მატჩი 19 თებერვალს გაიმართება.

OBSERVER
OBSERVE TO LEAD

**Managing Director:** Nino Sharashidze
Nino.sharashidze@observer.com.ge

**Chief Editor:** Tamar Chapidze
editor@observer.com.ge

**Subscription & Advertising:** sales@observer.com.ge

15 Shio Mghvimeli Str.

0179, Tbilisi, Georgia

E: info@observer.com.ge

T: +995 557 68 36 53

# ISTI FOTINTI

სავაჭრო & გასართობი ქალაქი

## გართობის • დასვენების
# შოპინგის
## ქალაქი

10:00 - 22:00

eastpointtbilisi

16 333

www.eastpoint.ge